პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1975
ოთხშაბათი
23
აპრილი
№ 95
(16221)
ფასი 2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

**200** მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია — გეგმის გადამეტებით!

**120** მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადება — ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით!

ეს ჩვენი რესპუბლიკის სახელისა და ღირსების საქმეა!

ხუთწლედის დამლევამდე

252 დღე დარჩა



მოსკოვი. 1975 წლის 22 აპრილს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 105-ე წლისთავს.

სურათზე: საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში.

საკდესის ფოტო. (მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

## მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

სკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან

# ეპოქის ძლევამოსილი დროშა

საზეიმო სხდომა მოსკოვში

**სოციალურ-პოლიტიკური** და იდეური ერთიანობის, ლენინური პარტიის გარშემო მჭიდრო შეკავშირების ვითარებაში, სკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრის მისწრაფებით შეეგებნენ საბჭოთა ადამიანები ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 105 წლისთავს.

ლენინის იდეების დროშით ააშენა საბჭოთა ხალხმა მსოფლიოში პირველი სოციალისტური საზოგადოება. დიდი სამამულო ომის წლებში ლენინურმა კომუნისტურმა პარტიამ შეაკავშირა საბჭოთა ადამიანები ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხისა და მისი არმიის გამარჯვების 30 წლისთავს მალე მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ყველა ჩვენი ახლანდელი მიღწევა ილიჩის სახელთანაა დაკავშირებული.

ლენინის იდეები შემოქმედებითად არის განვითარებული სკპ XXIV ყრილობაზე წამოყენებულ მშვიდობის პროგრამაში. საბჭოთა ადამიანები განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი პლენუმის შედეგებს და ერთსულოვნად იწონებენ, სავსებით უჭერენ მხარს სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საქმიანობას პარტიის XXIV ყრილობის საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელებისათვის.

საბჭოთა ხალხთან ერთად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, მარქსიზმის გენიალური თეორეტიკოსის, საერთაშორისო მუშათა კლასის ბელადის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასწავლებლისა და მეგობრის დაბადების დღეს ზეიმით აღნიშნავს მთელი პროგრესული კაცობრიობა.

ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც 22 აპრილს გაიმართა მოსკოვში.

კრემლის ყრილობათა სასახლეში შეიკრიბნენ მოსკოვისა და მისი ოლქის წარმოების მოწინავენი, პარტიის ვეტერანები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. სხდომას ესწრებიან უცხოელი დიპლომატები, საზღვარგარეთელი სტუმრები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

17 საათია. სხდომის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს, ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ა. ა. გრეჩკოს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. ნ. კოსიგინს, თ. დ. კულაკოვს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, პ. ნ. დემიჩევს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ი. დოლგიხს, ი. ვ. კაპიტონოვს, კ. თ. კატუშევს.

აქვე არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატათა თავმჯდომარეები, სკპ მოსკოვის საქალაქო და მოსკოვის საოლქო კომიტეტების მდივნები, პარტიის ვეტერანები, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, თვალსაჩინო მხედართმთავრები, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავები.

საზეიმო სხდომა გახსნა სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა.

დარბაზში ჟღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

მოხსენება „დიდი ლენინის ანდერძით" გააკეთა სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა.

მოხსენება დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. დარბაზში ხშირად გაისმოდა ტაში.

სხდომა დახურულად ცხადდება. მისი მონაწილენი ფეხზე ამდგარი მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს".

სხდომის მონაწილეთათვის გაიმართა დიდი სადღესასწაულო კონცერტი. (საკდესი).

ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXV ყრილობას!

## ამწყობთა ინიციატივით

### გაერთიანება „ელექტროაპარატის" კოლექტივის ახალი ვალდებულება

**თბილისი.** („კომუნისტის" კორ.). გაიმართა „თბილისის „ელექტროაპარატის" საწარმოო გაერთიანების პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული კომიტეტების გაფართოებული სხდომა, რომელზეც განიხილეს სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად სოციალისტური შეჯიბრების გაშლის ღონისძიებანი.

— გაერთიანების მშრომელებში დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ გაისად თებერვალში გაიმართება სკკპ XXV ყრილობა, — თქვა გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ა. ხუროძემ, — გაერთიანების საწარმოებში ჩატარდა კრებები. ამ კრებებზე მშრომელებმა გამოავლინეს დამატებითი რეზერვები, რომლებმაც საშუალება მოგვცა ვვკისრა ახალი გაზრდილი ვალდებულებანი.

გაერთიანების კოლექტივმა გადაწყვიტა წლიურ გეგმის გადამეტებით დაამზადოს 1.150 ათასი მანეთის პროდუქცია, ხადავო საწარმოს საამწყობო საამქროს შემდუღებელი და საექსპორტო უბნების კოლექტივებმა იკისრეს ყრილობის გახსნის დღეს 1976 წლის 24 თებერვალს შეასრულონ წლის პირველი კვარტალის დავალება, ხოლო დანარჩენმა უბნებმა გადაწყვიტეს ამ დღეს ორი თვის დავალების შესრულება უპატაკონ.

ამ მოწინავე კოლექტივების ინიციატივას გაერთიანებაში მხარი დაუჭირეს და გაიშალა შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

**რ. პელიძე.**

## ოთხი თვის გეგმა შესრულებულია!

**თბილისის** დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივმა 22 აპრილს სამშობლოს უპატაკა, რომ შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ოთხი თვის გეგმა. ავიამშენებლებმა თავიანთი შრომითი გამარჯვება მიუძღვნეს ვ. ი. ლენინის დაბადების 105 წლისთავს.

ქარხანაში გაჩაღდა შეჯიბრება ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისა და სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. (საქინფორმი).

## დამკვრელური დღეები

**ტყიბული.** (საკ. კორ.). დამკვრელურ ვახტზე ახალი შრომითი წარმატება მოიპოვა ლენინის სახელობის შახტის (დირექტორი გ. პატარიძე) კოლექტივმა, რომელმაც ვადაზე სამი დღით ადრე შეასრულა საკოქსე ქვანახშირის მოპოვების პირველი კვარტალის სახელმწიფო დავალება და ნაკისრი ვალდებულება.

საწარმოს კოლექტივს ბათუმელთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად ნაკისრი აქვს წლიურს გეგმის გადამეტებით ამოიღოს 235 ათასი მანეთის ღირებულების სათბობი. ლენინელები სიტყვას არ ღალატობენ. ვალდებულების ანგარიშში მათ უკვე მოიპოვეს 11 ეშელონი საკოქსე ქვანახშირი, რომლის ღირებულება 85 ათას მანეთს შეადგენს.

საპირველმაისო დღესასწაულის შესახვედრად გაშლილ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ საექსპლოატაციო უბნები, რომლებსაც ენთუზიასტი სამთოელები კ. ყილაურაძე, გ. ქაჯაია, ზ. რიჟამაძე, მ. გვენეტაძე და რ. კიკოლიაშვილი უდგანან სათავეში.

**ვ. ცირეკიძე.**

## ლაითურელები ეჯიბრებიან ინგირელებს

სულ მალე დაიწყება ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი. ამ დიდ ალოობას მომზადებული ხვდებიან მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მშრომელები. ისინი წლეულს 5.555 ტონა ჩაისათვის იბრძვიან. დაკომპლექტებულია ყველა აგროგანყოფილება, ბრიგადა, რგოლი; მექანიზებული კრეფა აქ გადამწყვეტ როლს ასრულებს, ჩაის საკრეფი მანქანები კრეფის დაწყების პირველ სიგნალს ელიან.

ლაითურელებმა ჩაის კრეფის სეზონში სოციალისტური შეჯიბრების ქმედითი ფორმები და მეთოდები შეიმუშავეს. ეს კი შეჯიბრების საჯაროობას, მატერიალური და მორალური სტიმულების გონივრულად შეხამებას გულისხმობს. ამ საქმეს ემსახურება მეურნეობის მრავალტირაჟიანი გაზეთი „ლაითური", ადგილობრივი რადიო, მოწინავეთა დაფა, შრომის დიდების წიგნი. სამექანიზაციო რგოლების, ბრიგადების, აგროგანყოფილებებისა და მუშებისათვის დაწესებულია დირექციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების გარდამავალი წითელი დროშები, ვიმპელები, სიგელები, ფასიანი საჩუქრები.

დიდების წიგნში შეტანილია სოციალისტური შრომის გმირების ლ. კოსენკოს, დ. ზუბჩენკოს, ე. ზახაროვას, დ. მაისურაძის, ა. თალაკვაძის, მოწინავე მეჩაიე ქ. ლომიძის და სხვათა სახელები.

ამ დიდ შეფასებას ლაითურელები ახალი წარმატებების მოპოვებით უპასუხებენ. ნაკისრი ვალდებულებები სასახელოდ რომ შეასრულონ, ლაითურელებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს ინგირისა და ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობები.

**ნ. ჯანჯღავა.**



ბუშინ ვ. ი. ლენინის ძეგლთან მივიდნენ თბილისის პიონერები. მონუმენტის კვარცხლბეკთან მათ მიიტანეს ცოცხალ ყვავილთა თაიგულები.

სურათზე: პიონერები ცოცხალ ყვავილთა თაიგულებით ვ. ი. ლენინის ძეგლთან.

ზ. ბუბოხიას ფოტო.

# დიდი ლენინის ანდერძით

## ამხანაგ მ. ა. სუსლოვის მოხსენება ვ. ი. ლენინის დაბადების 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მოსკოვში

**ამხანაგებო!** ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების დღე საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ცხოვრებაში დამკვიდრდა როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ნათელი დღესასწაული. ლენინის სახელი უსაზღვროდ ძვირფასია მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის.

რევოლუციური აზრისა და რევოლუციური მოქმედების გიგანტმა, ვ. ი. ლენინმა მარქსიზმი აიყვანა ახალ, უმაღლეს საფეხურზე. მან აღმოაჩინა მსოფლიო მასშტაბით კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის კანონზომიერებანი, მუშათა კლასსა და ყველა მშრომელთ უჩვენა საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის სწორი გზა.

ვ. ი. ლენინი დამაარსებელია ახალი ტიპის პროლეტარული პარტიისა, რომელმაც ხორცი შეასხა თანამედროვე ეპოქის გონებას, ღირსებასა და სინდისს. მისი ხელმძღვანელობით გაიმარჯვა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, შეიქმნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო — საბჭოების რესპუბლიკა, დასაბამი მიეცა სოციალიზმის მშენებლობას.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების დღის ზეიმი ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, აღსავსეა ღრმა აზრით. ყოველ წელს ჩვენ განვლილ გზას ვუდარებთ ლენინის ანდერძს, ამით ვაფასებთ ჩვენს წარმატებებს და განვსაზღვრავთ მომავლის ამოცანებს.

ლენინის დაბადების ასმეხუთე წლისთავს ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, ახალი მიღწევებით ბრძოლაში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. საბჭოთა ადამიანები აღსავსენი არიან მისწრაფებით ღირსეულად შეხვდნენ თავიანთი მშობლიური პარტიის XXV ყრილობას. მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის აღმშენებლობითი შრომა დღეს არის პირველი ხუთწლედების შემოქმედებითი პათოსის, დიდ სამამულო ომსა და ომისშემდგომ წლებში საბჭოთა ხალხის საგმირო საქმეთა განგრძობა და განვითარება.

ლენინიზმის დროშით შენდება კომუნისტური საზოგადოება საბჭოთა კავშირში, ვითარდება მსოფლიო სოციალისტური სისტემა, მტკიცდება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგების შეკავშირება, ახალ გამარჯვებებს აღწევენ სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი პროგრესული ძალები. ლენინური საგარეო პოლიტიკის მეოხებით, რომელსაც თანმიმდევრულად ახორციელებენ საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები, მიღწეულია დიდი წარმატებანი ბრძოლაში ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

„ლენინიზმი, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა, — ეს არის ყველაზე მოწინავე და გავლენიანი იდეოლოგია თანამედროვე მსოფლიოში, იმათი უძლეველი იდეოლოგია, ვისაც მომავალი ეკუთვნის". კაცობრიობის მომავალი კი კომუნისტური საზოგადოებაა, რომლის გზასაც პირველი კვალავს საბჭოთა ხალხი ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით.

### I. საბჭოთა ხალხი სწორ ლენინურ გზას ადგას

ამხანაგებო! საბჭოთა ქვეყნის მთელი ისტორია ეს არის ლენინის სიცოცხლეში დაწყებული და მის მიერ ნაანდერძევი დიადი საქმის — კომუნიზმის მშენებლობის განგრძობა, დამკვიდრება და განვითარება. ლენინის წინასწარდასახულობებით, კაპიტალისტური გარემოცვის ურთულეს პირობებში, შედარებით მოკლე დროში განხორციელდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია, საბჭოთა ხალხების შეკავშირება ძმურ, ერთსულოვან ოჯახად. უკვე ოცდაათიან წლებში სოციალიზმმა გაიმარჯვა და მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ქვეყანაში. შემდგომ ათწლეულებში მიღწეულია კიდევ უფრო გრანდიოზული წარმატებანი სახალხო მეურნეობის, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში, ხალხის მასების შეგნებულობის ამაღლებაში. როგორც სკკპ XXIV ყრილობამ აღნიშნა, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, ყველა მშრომელის თავდადებული შრომით ჩვენში აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება.

კომუნიზმისათვის ბრძოლის მთავარი ასპარეზი იყო და არის სოციალისტური ეკონომიკა, რადგან იგი, როგორც ვლადიმერ ილიას-ძე წერდა, ეხება ასობით მილიონი ადამიანის ცხოვრების ყველაზე ღრმა საფუძვლებს.

ქვეყანაში შექმნილი უდიდესი ეკონომიური პოტენციალი უზრუნველყოფს პარტიის საპროგრამო ამოცანის — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენების პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობას. ჩვენი ქვეყანა უდიდესი ინდუსტრიული სახელმწიფოა, მას აქვს მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი მრავალდარგოვანი მრეწველობა, სწრაფად განვითარებადი სოფლის მეურნეობა, აქვს უმდიდრესი ბუნებრივი რესურსები, ჰყავს კვალიფიციური კადრები. მის წილად მოდის მსოფლიო სამრეწველო წარმოების მეხუთედი.

განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების დინამიკურ, მყარ ზრდას. ამ ბოლო ათ წელიწადში გაორკეცდა ქვეყნის ეროვნული შემოსავალი, სამრეწველო პროდუქციის გამოშვება გადიდდა 2,2-ჯერ. ამ წლებში ამოქმედდა ოთხი ათასამდე მსხვილი სახელმწიფო სამრეწველო სა-

(გაგრძელება მე-2 გვ.)

# დიდი ლენინის ანდერძით

(გაგრძელება)

წარმო, მათ შორის ისეთი გიგანტები, როგორიც არის ვოლჟსკის საავტომობილო ქარხანა, მსოფლიოში უდიდესი კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგური და ლენინგრადის ატომური სადგური, მსოფლიოში უდიდესი ბრძმედი კრივოი როგის მეტალურგიულ ქარხანაში. დაიწყო კამის საავტომობილო ქარხნის, ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობა. ხდება ათვისება სასარგებლო წიაღისეულის ახალი უმდიდრესი საბადოებისა: ციმბირის და შუა აზიის ნავთობის და გაზისა, კურსკის მაგნიტური ანომალიის რკინის მადნისა.

სოციალისტური სახალხო მეურნეობის დინამიზმი ვლინდება სწრაფი თვისებრივი ძვრებითაც წარმოების ყველა დარგში. განუხრელად დიდდება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მატების წილი, რასაც ვიღებთ შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით. უმჯობესდება საბჭოთა ინდუსტრიის სტრუქტურა იმ დარგების უფრო სწრაფი განვითარების მეოხებით, რომლებიც განსაზღვრავენ მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკურ პროგრესს. ეს არის მანქანათმშენებლობა და ელექტროენერგეტიკა, რადიოელექტრონიკა და ავტომატიზაციის საშუალებათა წარმოება, ქიმია და ხელსაწყოთმშენებლობა.

ეკონომიკის ყველა დარგის ზრდისა და წარმოების თვისებრივი ცვლილებების სწრაფი ტემპები სოციალიზმის უპირატესობებთან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების სულ უფრო წარმატებით შეხამების შედეგია. მეცნიერება უშუალო საწარმოო ძალა გახდა, რომელიც მნიშვნელოვნად აჩქარებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. მეცნიერთა აღმოჩენები მეცნიერების სხვადასხვა დარგში ახლა სულ უფრო სწრაფად ინერგება მატერიალურ წარმოებაში, ხელს უწყობს მაღალ ტექნიკურ საფუძველზე მის ძირფესვიან გარდაქმნას.

საშუალოდ წლის მანძილზე ახლანდელ ხუთწლედში სერიულ წარმოებაში ხდება ათვისება ახალი სამრეწველო პროდუქციის 3.400 სახეობისა — ერთიორად მეტის ვიდრე წინა ხუთწლეულში. პარტია კვლავაც უპირველეს ყურადღებას დაუთმობს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, ამ ბაზაზე მთელი სოციალისტური ეკონომიკის შემდგომ ამაღლებას.

ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპის მნიშვნელოვანი თავისებურება გახდა წარმოების კონცენტრაციის პროცესის დაჩქარება, მისი ორგანიზაციის სრულყოფა. მრეწველობაში ამან ასახვა ჰპოვა, კერძოდ, სამეურნეო ანგარიშის გაერთიანებათა შექმნით, რომლებიც ახლა ათას ხუთასზე მეტია. გაერთიანებათა განვითარება დიდი ნაბიჯია წარმოების მართვის სრულყოფის, მისი ეფექტიანობის ამაღლების გზაზე.

პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ახალი ორგანიზაციული ფორმების დანერგვას სოფლის მეურნეობაში. მოქმედებს 5.800 სამეურნეობათშორისო ორგანიზაცია, რომლებშიც მონაწილეობენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სულ უფრო ვრცელდება აგროსამრეწველო კომპლექსები. ყოველივე ეს ქმნის სულ უფრო ხელშემწყობ პირობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციისათვის, მისი მექანიზაციისა და ორგანიზაციის დონის ამაღლებისათვის, სასოფლო-სამეურნეო შრომის ინდუსტრიულ სახეობად გადაქცევისათვის.

პოლიტიკა, რომელსაც პარტია სოფლად ახორციელებს, ახალი პირობების შესაბამისად ლენინური აგრარული პოლიტიკის შემოქმედებითი განვითარებაა. მის შემუშავებაში განსაკუთრებით დიდი როლი ეკუთვნის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმს, რომელზეც მეტად დიდმნიშვნელოვანი მოხსენება გააკეთა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. პარტია ადგას სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის ყოველმხრივი განმტკიცების, მისი მექანიზაციის, ქიმიზაციისა და მიწების ფართო მელიორაციის გზით წარმოების ინტენსიფიკაციის თანმიმდევრული განხორციელების მტკიცე კურსს.

ათ წელიწადში სოფლის მეურნეობაში სამუშაოთა მთელი კომპლექსისათვის გამოიყო 195 მილიარდი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი. ეს, ამხანაგებო, ერთიორად მეტია, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების მთელ წინა წლებში. პარტიის მიერ შემუშავებული კურსი გვაძლევს მზარდ დადებით შედეგებს. მარცვლეულის საშუალო-წლიური მოსავლიანობა, რაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაახლოებით ერთსა და იმავე დონეზე იყო, ახლა მნიშვნელოვნად ამაღლდა. განუხრელად ვითარდება მეცხოველეობა და დიდდება მისი პროდუქტიულობა. ძირეულად იცვლება სოფლის მოსახლეობის შრომისა და ყოფის ხასიათი, სოფლის ცხოვრების მთელი წყობა უახლოვდება ქალაქის პირობებს. შეიძლება გულდაჯერებით ვთქვათ, რომ სოფლის მეურნეობაში სერიოზული გარდატეხა მოხდა. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რუსეთის არაშავმიწადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობის აღმავლობის პროგრამას, რომელსაც ენთუზიაზმით შეხვდნენ საბჭოთა ადამიანები.

ამხანაგებო! გავა ცოტა დრო, და გადავშლით ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიის კიდევ ერთ ფურცელს, შევაჯამებთ კიდევ ერთი სახელოვანი ხუთწლეულის შედეგებს. უკვე ახლა უეჭველია: პარტიის XXIV ყრილობის შემდგომ განვლილ წლებში გადაიდგა დიდი ნაბიჯი წინ კომუნისტური მშენებლობისა და უწინარეს ყოვლისა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე. მოვიპოვეთ მტკიცე პლაცდარმი დიადი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ შემდგომი წარმატებითი წინსვლისათვის.

ღირსეულად აღნიშნავს რა წარმატებებს, ჩვენი პარტია ასრულებს ლენინურ ტრადიციებს, არ სჯერდება მიღწეულს და მთელ ყურადღებას მიაპყრობს ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ საკითხებს.

ჩვენს წინაშე დგას დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური და პოლიტიკური ამოცანა: მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ 1975 წლის დავალებანი, წარმატებით დავამთავროთ მთლიანად მეცხრე ხუთწლედი. საჭიროა უწინარეს ყოვლისა უდიდესი ყურადღება დავუთმოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას, სოციალისტური ეკონომიკის ყველა რესურსისა და რეზერვის უფრო სრულად გამოყენებას, არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას. პარტია მოგვიწოდებს ბეჯითად და შემოქმედებითად გავაუმჯობესოთ ეკონომიკის განვითარების მაჩვენებლები, განვამტკიცოთ დისციპლინა და პასუხისმგებლობა, გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება და ავამაღლოთ მთელი ჩვენი მუშაობის დონე. თვითეული საბჭოთა ადამიანი დღეს ისე უნდა მუშაობდეს, რომ უფლება ჰქონდეს თავისი თავის შესახებ სიამაყით თქვას ვ. ი. ლენინის სიტყვებით: „მე ვარ თავისუფალი შრომის დიადი არმიის ნაწილი".

მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის წარმატებითი შრომით აღინიშნა 1975 წლის დამდეგი. საბჭოთა ადამიანები მხურვალედ გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობის მსვლელობაში იშვა მშრომელთა საყურადღებო პატრიოტული ინიციატივები და თაოსნობანი, რომლებიც მიზნად ისახავენ იმას, რომ გამოუშვან მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია, ნაკლები დანახარჯებით. ჩვენი ხალხის შრომითი ენთუზიაზმის ახალი მკაფიო გამოვლინება გახდა ტრადიციული ლენინური შაბათობა, რომელმაც წელს განსაკუთრებით დიდი აღფრთოვანებით ჩაიარა და უფართოესი გაქანება მიიღო. შაბათობაში მონაწილეობდა 135 მილიონზე მეტი კაცი.

საბჭოთა ადამიანების აღმშენებლობითს, შემოქმედებითს ენერგიას ასაზრდოებს იმის მაღალი შეგნება, რომ მათს მუშაობაზე ყოველმხრივ დამოკიდებულია სოციალისტური სამშობლოს აყვავებისათვის, მთელი ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის შედეგები.

საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური მშენებლობა მიზნად ისახავს ყველა მშრომელთა ცხოვრების, საქმიანობისა და ყოველმხრივი განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნას, მათი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრულ დაკმაყოფილებას. ჩვენი ლენინური პარტიისათვის ეს არის მისი პოლიტიკის უმაღლესი მიზანი.

ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის პარტიისა და სახელმწიფოს საქმიანობამ განსაკუთრებით ფართო გაქანება მიიღო ბოლო ათწლეულში, როცა ამ მხრივ შესაძლებლობებიც უსაზღვროდ გაიზარდა. მნიშვნელოვნად გადიდდა მშრომელთა ფულადი შემოსავალი, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები. შემოღებულია კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ანაზღაურება, გაუმჯობესდა მათი პენსიით უზრუნველყოფა, შემოღებულია სოციალური დაზღვევის ერთიანი სისტემა. მუშები და მოსამსახურენი სარგებლობენ კვირაში ორი დასვენების დღით, უფრო ხანგრძლივი შვებულებებით. 110 მილიონზე მეტმა კაცმა მიიღო ახალი ბინები ან გაიუმჯობესა საბინაო პირობები. არსებითად შეიცვალა ადამიანთა ყოფა-ცხოვრება, ჩვენი ქალაქებისა და სოფლების სახე. ამაღლდა ხალხის კულტურა და განათლება.

პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების სრული შესაბამისობით, ვწყვეტთ რა ხუთწლედის მთავარ ამოცანას, არსებითად წავიწიეთ წინ მშრომელთა საარსებო დონის ამაღლების ყველა მიმართულებით. ხუთწლედის 4 წელიწადში რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 19 პროცენტით. საშუალო თვიურმა ხელფასმა 1974 წელს მიაღწია თვეში 140,7 მანეთს. 1970 წლის 122 მანეთისა და 1965 წლის 96 მანეთის ნაცვლად. კოლმეურნეთა შემოსავალი საზოგადოებრივ მეურნეობაში ოთხი წლის მანძილზე გაიზარდა 22 პროცენტით და მეტად და ახლა შეადგენს 91 მანეთს თვეში. გარდა ამისა, შემოსავლის გარკვეულ ნაწილს კოლმეურნენი იღებენ პირადი დამხმარე მეურნეობიდან.

განუხრელად ახორციელებს რა კურსს მთელი ხალხის კეთილდღეობის ყოველმხრივი გაუმჯობესებისათვის, პარტია ამასთან უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მშრომელთა იმ ფენების ცხოვრების დონის ამაღლებას, რომელთა შემოსავალი საშუალოზე დაბალია. ეს თავის პრაქტიკულ გამოხატულებას პოულობს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების უფრო სწრაფი ზრდითაც, ხელფასის მინიმუმის მომატებითაც. ამავე მიზნით შემოღებულია დახმარებანი ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებისათვის, გაუმჯობესდა მოხუცებულობის გამო, ომისა და შრომის ინვალიდების, აგრეთვე მარჩენალდაკარგული ოჯახების პენსიით უზრუნველყოფა. გაიზარდა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და ტექნიკუმებისა და ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა სტიპენდიები. განხორციელდა აგრეთვე მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი.

ამაღლებენ რა საბჭოთა ადამიანების შემოსავლის დონეს, პარტია და მთავრობა გულმოდგინედ იღვწიან საქონლის წარმოებისა და მოსახლეობის მომსახურების შემდგომი განვითარებისათვის. მიმდინარე ხუთწლედის წლების მანძილზე საცალო საქონელბრუნვა გაიზარდა 41 მილიარდი მანეთით. ეს ნიშნავს, რომ საშუალოდ ოთხი კაცისაგან შემდგარი თვითეული ოჯახი ყიდულობს წელიწადში 575 მანეთიაზე მეტ საქონელს, ვიდრე ხუთწლედის დამდეგს.

განსაკუთრებით სწრაფად იზრდება მშრომელთა მიერ ხანგრძლივი სარგებლობის იმ საქონლის შესყიდვა, რომელიც აუმჯობესებს დაალამაზებს ყოფა-ცხოვრებას — საოჯახო მანქანებისა და ხელსაწყოების ავეჯისა და ავტომობილების შესყიდვა, თუ 1970 წელს ტელევიზორი ორი ოჯახიდან ჰქონდა ერთს, ახლა იგი აქვს სამიდან ორ ოჯახს; წინათ ერთი მაცივარი მოდიოდა სამ ოჯახზე, ახლა მაცივარი აქვს ყოველ მეორე ოჯახს.

მთლიანად ერთ წელიწადზე გადაანგარიშებით ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული სახელმწიფოს ხარჯები მეცხრე ხუთწლედში მერვე ხუთწლედთან შედარებით დიდდება ორჯერ და მეტად. ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში დიდი ამოცანები უნდა გადავწყვიტოთ ხუთწლედის მიმდინარე, დამამთავრებელ წელს.

ამხანაგებო! კომუნიზმისაკენ ძლევამოსილი წინსვლის პროცესში მტკიცდება საბჭოთა საზოგადოების იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა და შეკავშირება, ხდება ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის დაახლოება. ეს ერთიანობა პარტიის საპროგრამო წინასწარდასახულობათა წარმატებით შესრულების საწინდარია.

საბჭოთა საზოგადოების წამყვანი ძალაა მუშათა კლასი — საუკეთესო რევოლუციური ტრადიციების მატარებელი, ყველაზე ნაწრთობი, შეგნებული და ორგანიზებული კლასი. იგი თავის გარშემო აერთიანებს კოლმეურნე გლეხობას და სახალხო ინტელიგენციას, რომლებმაც აითვისეს მისი რევოლუციური იდეოლოგია.

სოფლის ეკონომიკისა და კულტურის ზრდის კვალობაზე სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საბჭოთა გლეხობის წვლილი ჩვენი ხალხის საერთო საქმეში. ახლა, როცა სწრაფად ვითარდება მეცნიერება და ტექნიკა, მაღლდება საბჭოთა ადამიანების განათლება და კულტურა, იზრდება სახალხო ინტელიგენციის საქმიანობის მნიშვნელობა, რომელიც მთელ თავის ცოდნასა და ნიჭს ხალხის სამსახურს ახმარს, პარტიამ თავის ამოცანად მიაჩნია კვლავაც განამტკიცოს მთელი საბჭოთა ხალხის შეკავშირება ჩვენს ქვეყანაში უკლასო საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი საზოგადოება — ეს არის მშრომელ ადამიანთა ურღვევი ძმობა. სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება, ყველა მშრომელის ინტერესებისა და იდეოლოგიის ერთიანობა გახდა ის საფუძველი, რომელზეც აღმოცენდა, როგორც ლენინი ითვალისწინებდა, ადამიანთა საერთო ცხოვრების ახალი ფორმები, განმტკიცდა საბჭოთა სოციალისტური ცხოვრების წესი, რომელიც უპირისპირდება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისა და ჩაგვრაზე დაფუძნებულ ბურჟუაზიული ცხოვრების წესს. მთელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის მუდმივი და განუხრელი ზრდა, მისი სულიერი ცხოვრების მაღალი დონე, კომუნიზმის იდეალებისადმი ერთგულება, სოციალისტური სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, ადამიანის ყოველმხრივი თავისუფალი განვითარებისათვის სულ უფრო ხელშემწყობი პირობების შექმნა — აი რით განისაზღვრება საბჭოთა ცხოვრების წესი.

სოციალისტურმა ცხოვრების წესმა პიროვნების ინტერესები განუყრელად დაუკავშირა საზოგადოების ინტერესებს, ადამიანთა ინდივიდუალური ბედი — მთელი ქვეყნის წარმატებებს. საბჭოთა ადამიანი, რომელსაც ახასიათებს სოციალური და პოლიტიკური აქტიურობა, მაღალი შეგნება, კოლექტივიზმისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა, ცდილობს თავისი ძალღონე და უნარი მოახმაროს საზოგადოების სამსახურს. საბჭოთა ცხოვრების წესისაგან განუყოფელია სოციალისტური პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების გულწრფელი მეგობრობა და ძმობა, ნაციონალიზმისადმი, მეშჩანური ინდივიდუალიზმისადმი, მომხვეჭელობის ტენდენციებისა და კაპიტალიზმის სხვა გადმონაშთებისადმი შეურიგებლობა.

საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის ყველა ეტაპზე ხალხი იჩენდა მაღალ შრომითს ენთუზიაზმს, შემოქმედებითს ენერგიას, სოციალიზმის საქმისადმი, ლენინური იდეალებისადმი უსაზღვრო ერთგულებას.

დიდი საბჭოთა ხალხის უდიდესი პატრიოტიზმი, უმაგალითო მამაცობა და მასობრივი გმირობა, მისი თავდადება და სულის სიმტკიცე მთელი სისრულით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის უმძიმესი განსაცდელის დროს. საბჭოთა ხალხმა, მისმა მამაცმა შეიარაღებულმა ძალებმა დაიცვეს სოციალისტური სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ფაშისტური ტირანიისაგან იხსნეს ევროპის ხალხები. ისტორიულმა გამარჯვებამ გზა გაუხსნა ახალ მძლავრ რევოლუციურ აღმავლობას მთელ მსოფლიოში, რის შედეგადაც შეიქმნა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა და დაიშალა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა.

ახლა, გამარჯვების 30 წლისთავის დღესასწაულის წინ, მთელი პროგრესული კაცობრიობა კვლავ მადლიერებითა და პატივისცემით იხსენიებს გმირ საბჭოთა ხალხს, გამარჯვებულ ხალხს. საუკუნეების მანძილზე არ წაიშლება ფრონტზე მებრძოლთა და ზურგში მშრომელთა სახელი და მამაცობა, ლენინიზმის იდეებით აღზრდილი მთელი საბჭოთა ხალხის გმირობა, რომელსაც ლენინის პარტია ხელმძღვანელობს.

## II. ლენინიზმი მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის მძლავრი ძალა

ამხანაგებო! მთელი თანამედროვე მსოფლიო განვითარება ლენინიზმის ისტორიული სიმართლისა და რევოლუციურ-გარდამქმნელი ძალის მკაფიო გამოხატულებაა. ცხოვრება დამაჯერებლად ადასტურებს ლენინის წინასწარმეტყველებას კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავების, ოქტომბრისშემდგომ ეპოქაში სოციალიზმის, მშვიდობისა და ეროვნული განთავისუფლების ძალების ძლევამოსილი ზრდის შესახებ.

ლენინის იდეებმა ღრმა და სრული ხორცშესხმა ჰპოვეს მსოფლიო სოციალიზმის ცოცხალ პრაქტიკაში. მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხები მარქსისტულ-ლენინური პარტიების ხელმძღვანელობით წარმატებით იპყრობენ ახალ მწვერვალებს თავიანთ ისტორიულ წინსვლაში. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები გვიჩვენებენ უმაგალითო დინამიზმს საზოგადოებრივი პროგრესის ყველა სფეროში, მაღალ სოციალურ სიმწიფესა და სოციალისტური სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის პრინციპულ უპირატესობას კაპიტალისტური სახელმწიფოების ურთიერთობასთან შედარებით.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ურთიერთ დახმარება, წარმოების კოოპერირება სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის საფუძველზე თვითეულ მათგანს საშუალებას აძლევს ოპტიმალურად გამოიყენოს საკუთარი რესურსები და ამასთან აჩქარებს მათს ერთობლივ წინსვლას კომუნიზმის გზით.

მტკიცდება და ფართოვდება მოძმე პარტიებისა და სახელმწიფოების პოლიტიკური, იდეოლოგიური და სამხედრო თანამშრომლობა. მომავალ თვეში სრულდება ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის 20 წლისთავი. და ჩვენ შეგვიძლია კანონიერი კმაყოფილებით ვთქვათ, რომ იგი ჭეშმარიტად ისტორიულ როლს ასრულებს სოციალისტური თანამეგობრობის ევროპის ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების უზრუნველყოფაში. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირები გახდა მოძმე სახელმწიფოთა საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის კოორდინაციის უმნიშვნელოვანესი ფორმა, მაღალი ტრიბუნა, საიდანაც არაერთხელ ყოფილა გამოცხადებული დიდი მშვიდობიანი ინიციატივები.

სოციალისტური თანამეგობრობის საერთაშორისო პოზიციები არასოდეს არ ყოფილა ისე მტკიცე, როგორც ახლა. უმაგალითოდ მაღალია მისი ავტორიტეტი მსოფლიოს ხალხთა თვალში. მტკიცედ მიდიან რა ლენინური გზით, მოძმე სოციალისტური ქვეყნები გახდნენ მშვიდობის ურყევი ციხე-სიმაგრე, მსოფლიო რევოლუციური განვითარების მძლავრი ძალა.

ყოველმხრივი პროგრესი სოციალისტური საზოგადოებისა, რომლისთვისაც უცხოა ეკონომიური კრიზისები, ინფლაცია, უმუშევრობა, მკვეთრ კონტრასტს წარმოადგენს კაპიტალის სამყაროს მდგომარეობასთან შედარებით, რომელსაც ამჟამად არყევს მთელი ომისშემდგომი პერიოდის მანძილზე ყველაზე მძიმე კრიზისი, რამაც მოიცვა ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიკა, პოლიტიკური ზედნაშენი და იდეოლოგია.

შემთხვევითი როდია, რომ კაპიტალისტური სამყაროს ხელმძღვანელთა და იდეოლოგთა გამოსვლებში არცთუ იშვიათად ავლებენ პარალელს ახლანდელ კრიზისულ სიტუაციასა და 30-იანი წლების ეგრეთწოდებულ „დიდ დეპრესიას" შორის. ამგვარ ისტორიულ შედარებათა მთელი პირობითობის მიუხედავად არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ამ შემთხვევაში მას გარკვეული აზრი აქვს. ახლა, ისე როგორც ორმოც წელზე მეტი ხნის წინათ, კაპიტალისტური სისტემა აღმოჩნდა ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობების განსაკუთრებით მკვეთრი ზრდის წინაშე.

წარმოების დაქვეითება ხდება უმაგალითო ინფლაციასთან, სიძვირის შეუნელებელ ზრდასთან ერთად. ცხოვრების დონის დაცემა, მატერიალური გაჭირვება და ტანჯვა, რომელსაც მშრომელნი განიცდიან, მით უფრო დიდია, რომ ამჟამად ყველა წამყვან კაპიტალისტურ ქვეყანაში კოლოსალურად იზრდება უმუშევართა არმიები.

სახელმწიფო-მონოპოლისტურმა რეგულირებამ ვერ შეძლო აელაგმა მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის ანარქისტული და ანტაგონისტური ხასიათი. წარმოების სფეროში კრიზისთან ერთად გაძლიერდა მსოფლიო ვალუტის ქაოსი, გაღრმავდა წინააღმდეგობანი იმპერიალიზმსა და განვითარებად ქვეყნებს შორის, გამწვავდა მეტოქეობა კაპიტალისტური ქვეყნების მსხვილ დაჯგუფებებს შორის და ამ დაჯგუფებებში მკვეთრად გამწვავდა წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის — კაპიტალისტური სამყაროს მთავარი კლასობრივი წინააღმდეგობა. კაპიტალიზმის ყველა მთავარ ქვეყანაში მიმდინარეობს კლასობრივი ბრძოლების მძლავრი აღმავლობა. გაფიცულთა რიცხვმა უკვე შარშან 47 მილიონს მიაღწია და 1973 წლის დონეს გადააჭარბა.

გაკოტრდა ბურჟუაზიულ ეკონომისტთა და რევიზიონისტთა მრავალი აპოლოგეტური კონცეფცია „ორგანიზებული", „გეგმიანი" და „ტრანსფორმირებული" კაპიტალიზმისა და „ნეოკაპიტალიზმის" შესახებ, რომელმაც თითქოს დაძლია კრიზისები, აღმოფხვრა კლასობრივი ანტაგონიზმები, უმუშევრობა, სიღატაკე და კაპიტალისტური სისტემის სხვა ორგანულად დამახასიათებელი წყლულები და მანკიერებანი.

თანამედროვე მსოფლიო განვითარების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია, როგორც ლენინი ითვალისწინებდა, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის წარსულში კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ჩაგრულ ხალხთა ფართოდ ჩაბმა დამოუკიდებელ ისტორიულ შემოქმედებაში.

უკანასკნელი — პორტუგალიის — კოლონიური იმპერიის დამხობით მთავრდება „ძველი", ასე ვთქვათ, ტრადიციული კოლონიალიზმის ისტორია. ამავე დროს იწყება იმპერიალიზმის ნეოკოლონიალისტური პოლიტიკის კრიზისი. ძლიერდება განვითარებადი ქვეყნების მისწრაფება ერთობლივი მოქმედებისადმი ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის, თავიანთ ბუნებრივ რესურსებზე ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენისათვის ბრძოლაში. ამ ქვეყნებში სოციალურ ცვლილებათა მზარდი პროცესი — მთელი მისი სირთულისა და მრავალმხრივობის მიუხედავად — საერთოდ აგრეთვე ობიექტურად მიმართულია იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

გამძვინვარებული რეაქციის მიუხედავად, რამაც დემოკრატიული ძალები ლათინური ამერიკის ცალკეულ ქვეყნებში აიძულა უკან დაეხიათ, განმათავისუფლებელი მოძრაობა იქ კვლავ ვითარდება, განამტკიცებს თავის რიგებს. პროგრესულ მსოფლიო საზოგადოებრიობასთან ერთად საბჭოთა ადამიანები ძმურ სოლიდარობას უცხადებენ ლათინური ამერიკის ხალხთა მოწინავე ძალებს, ჩილეს პატრიოტებს, რომლებიც თავს არ ხრიან ფაშისტური დიქტატურის წინაშე.

განთავისუფლებული სახელმწიფოების შემდგომი დამოუკიდებელი განვითარებისა და სოციალური პროგრესის მტკიცე საწინდარია სოციალიზმისა და ეროვნული განთავისუფლების ძალების მსოფლიო თანამშრომლობის ლენინური იდეის თანმიმდევრული განხორციელება. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი მუდამ იჩენს სოლიდარობას ხალხებისადმი, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, თავიანთი ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის, პოლიტიკურ და მატერიალურ დახმარებას უწევს მათ. ეს ჩვენი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია.

მსოფლიო სოციალიზმის პოზიციების განმტკიცება, საერთაშორისო მუშათა კლასის, მშვიდობის, დემოკრატიისა და ეროვნული განთავისუფლების მთელი ძალების მზარდი შეკავშირება და ბრძოლის აქტივიზაცია — ყოველივე ეს ახალ ფართო პერსპექტივებს უსახავს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას, მსოფლიო რევოლუციური პროცესის შემდგომ განვითარებას.

საბჭოთა ადამიანები სამართლიანად ამაყობენ წვლილით, რომელიც საყოველთაო მშვიდობისათვის ბრძოლის დიად საქმეში შეაქვთ ჩვენს ქვეყანას, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით. ლენინის ილიას-ძემ მსოფლიო საზოგადოებრიობის უფართოესი წრეების ღრმა პატივისცემა დაიმსახურა თავისი თავდადებული საქმიანობით მშვიდობისა და სოციალური პროგრესის საკეთილდღეოდ.

მშვიდობისათვის თანმიმდევრული ბრძოლა გამოხატავს, თუ რაოდენ ერთგულია ჩვენი პარტია ლენინის სიტყვებისა: „...ჩვენ აღვუთქვამთ მუშებსა და გლეხებს ყოველივე გავაკეთოთ ზავისათვის. და ჩვენ ამას გავაკეთებთ".

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის განვითარების მთავარი, გაბატონებული ხაზია დაძაბულობის შენელების განმტკიცება და გაღრმავება, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განხორციელება. თუ ვილაპარაკებთ მხოლოდ ბოლო დროის ძირითად მიღწევებზე, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთისა და ინგლისის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებთან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოლაპარაკების ნაყოფიერი შედეგები. მოლაპარაკებათა განვლილი სერია დაგვირგვინდა მთელი რიგი ორმხრივი შეთანხმებებით, რომელთა შორის დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებას შეტევითი სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის შემდგომ ღონისძიებათა შესახებ. დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვარგარეთის სახელმწიფოთა და ორგანიზაციათა ბევრ წარმომადგენელთან ჩვენი სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეების შეხვედრებს. ყველა ამ შეხვედრისა და მოლაპარაკების შედეგები შეესაბამება მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს.

საერთო აღიარებით, ახლა წანამძღვრები შეიქმნა სახელმწიფოთა უმაღლესი დონის სრულიად ევროპის თათბირის უსწრაფესად დამთავრებას. საბჭოთა კავშირი და სოციალიზმის მოძმე ქვეყნები ყოველ ღონეს ხმარობენ მისი წარმატებისათვის. თათბირი მოწოდებულია ხელი შეუწყოს ურთიერთნდობის ატმოსფეროს შექმნასა და ევროპის სახელმწიფოთა კეთილმეზობლური თანამშრომლობის განვითარებას.

შესამჩნევი ძვრები მოხდა საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის სფეროშიც. საბჭოთა კავშირის ვაჭრობაში ისეთ ქვეყნებთან, როგორიც არიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, იაპონია, ფინეთი, ანგარიში უკვე მილიარდი მანეთობით წარმოებს. დიდი მასშტაბით შეთანხმებათა დადება ხელსაყრელია მათი მონაწილეებისათვის. ეკონომიურ თუ სხვა ურთიერთობაში სოციალისტური ქვეყნებისათვის დისკრიმინაციული პირობების თავსმოხვევის ცდებს არასოდეს არ ჰქონია და არც ექნება წარმატების რაიმე შანსი.

ევროპის პოლიტიკურ ვითარებაზე დიდმნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა მოახდინეს საბერძნეთის რეაქციული რეჟიმის კრახმა და პორტუგალიის დემოკრატიულმა, ანტიფაშისტურმა რევოლუციამ. საბჭოთა ადამიანები დიდი სიმპათიით ადევნებენ თვალს პორტუგალიელი ხალხის წარმატებებს ქვეყნის დემოკრატიულ განახლებაში, რეაქციის შეთქმულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ გადაჭრით ვგმობთ პორტუგალიის საქმეებში ჩარევის ყოველგვარ ცდებს და მივესალმებით მთელი პროგრესული, რევოლუციური და დემოკრატიული ძალების შეკავშირებას.

დაძაბულობის შენელების პროცესები ჩვენი პლანეტის სულ ახალ რაიონებს ედება. იფუშება კუბის ეკონომიური და დიპლომატიური ბლოკადა. სოციალისტური კუბის საერთაშორისო პრესტიჟი მაღალია როგორც არასდროს, მისი რევოლუციური მონაპოვრები ურყევია.

აღვნიშნავთ რა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების დიდ წარმატებებს, კვლავაც კიდევ უფრო შეუპოვრად ვიბრძოლებთ მშვიდობის განმტკიცებისათვის. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ ამ ბოლო დროს

(დასასრული მე-3 გვ.)

# დიდი ლენინის ანდერძით

(დასასრული).

ხელავ გააქტიურდნენ, საშიშ მოქმედებას მიმართავენ დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგენი. დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში თავი წამოჰყვეს ულტრარეაქციულმა ძალებმა, გაძლიერდა მემარჯვენე ძალების გავლენა მთავრობათა საგარეო პოლიტიკაზე. ჩაღდება ანტისაბჭოური და ანტიკომუნისტური კამპანიები, რომელთა მიზანია საერთაშორისო ატმოსფეროს მოწამვლა. იმპერიალიზმის ძირგამომთხრელი და აგრესიული საქმიანობის მხილება მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლის შემადგენელი ნაწილია. დაძაბულობის შენელების პოლიტიკის აშკარად საწინააღმდეგოდ მიმდინარეობს გამალებული შეიარაღება, იზრდება იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სამხედრო ბიუჯეტები. დაძაბულობის შენელებას, სოციალისტური თანამეგობრობის საგარეო პოლიტიკას სულ უფრო მეტად ეწინააღმდეგებიან პეკინში. ჩინეთის ხელმძღვანელები აშკარად დაადგნენ პოზიციებს, რომლებსაც იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციული წარმომადგენლები იცავენ.

მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში შეუწყნარებელია რაიმე შესვენება, თვითდამშვიდება და სიფხიზლის მოდუნება. როგორც სამართლიანად აღინიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში: „დაძაბულობის შენელების პროცესი, მშვიდობის განმტკიცების პროცესი — ეს არის განუწყვეტელი პროცესი, რომელიც მოითხოვს მუდმივ წინსვლას. ამ გზაზე თუ შევჩერდით, საფრთხეს შევუქმნით იმასაც, რაც უკვე მიღწეულია“.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად უჭერს მხარს ახლო აღმოსავლეთში მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის დამყარებას. ამისათვის საჭიროა უზრუნველვყოთ, რომ ისრაელმა გაიყვანოს ჯარები 1967 წელს ოკუპირებული მთელი არაბული ტერიტორიებიდან, დაკმაყოფილდეს პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებანი, მათ შორის მისი საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება, ამ რაიონის ყველა სახელმწიფოს მიეცეს თავისუფალი არსებობისა და განვითარების შესაძლებლობანი. ყველა ეს საკითხი ერთი მთლიანის ნაწილია, და ნამდვილი მოწესრიგება მოითხოვს მათი გადაწყვეტისადმი კომპლექსურ მიდგომას. ამის უტყუარი გზაა ჟენევის საზავო კონფერენციის მუშაობის განახლება.

ჩვენი ქვეყანა მტკიცედ უჭერს მხარს ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხების სუვერენულ უფლებას თვითონვე გადაწყვიტონ თავიანთი საქმეები და ბედი გარედან ჩაურევლად. ჩვენ გადაჭრით ვუჭერთ მხარს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ პარიზის შეთანხმების შესრულებას. საიგონის მოღალატე ანტიხალხური რეჟიმი, რომელიც ფეხქვეშ თელავს ამ შეთანხმებას, ახლა მთლიანად იხრწნება. სამხრეთ ვიეტნამში პატრიოტული ძალების თვალსაჩინო გამარჯვებები, აგრეთვე კამბოჯელ პატრიოტთა წარმატებები ინდოჩინეთის ყველა ხალხს მშვიდობიანი ცხოვრების პერსპექტივას უსახავენ. საბჭოთა ადამიანები მხურვალედ მიესალმებიან ამ შესანიშნავ წარმატებებს.

დაძაბულობის შენელება ცხარე პოლიტიკური და იდეური ბრძოლის ობიექტია. მისი მიმდინარეობისა და პერსპექტივების ჩვენი შეფასება ლენინურად რეალისტურია, და სწორედ ამიტომ ისინი გამსჭვალულია ისტორიული ოპტიმიზმით. დაძაბულობის შენელებას ხომ საფუძვლად უდევს მსოფლიო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის ძირეული შეცვლა მშვიდობისა და სოციალიზმის სასარგებლოდ. ეს კი მუდმივმოქმედი ფაქტორია, ჭეშმარიტად წარუვალი მნიშვნელობის ფაქტორია.

დაძაბულობის შენელებისა და კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემდგომი გაღრმავების პირობებში კიდევ უფრო იზრდება კომუნისტური მოძრაობის, როგორც თანამედროვეობის ყველაზე გავლენიანი და აქტიური პოლიტიკური ძალის, როლი. კაპიტალისტურ ქვეყნებში კომუნისტები იღვწიან მთელი ანტიმონოპოლისტური, მემარცხენე ძალების შეკავშირებისათვის. ისინი თანმიმდევრულად აერთიანებენ ბრძოლას მასების ყოველდღიური ინტერესებისათვის, მსხვილი კაპიტალის ბატონობისადმი დემოკრატიული ალტერნატივის, სოციალიზმის იდეალების, ღრმა სოციალური გარდაქმნებისათვის ბრძოლასთან მშრომელთა ინტერესებისათვის, ერების უმრავლესობის საკეთილდღეოდ. ახლანდელი ეტაპი აღინიშნება მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე მოძმე პარტიათა შეკავშირების შემდგომი გაძლიერებით. მათ შორის მკვიდრდება, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სრული ამხანაგური ნდობა“, მტკიცდება მოქმედების ერთიანობა.

ეს პრაქტიკულ ასახვას პოულობს ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების ახალი კონფერენციის მომზადებაშიც. ევროპის კომუნისტთა ფორუმი, უეჭველია, ხელს შეუწყობს მშვიდობისათვის, უშიშროებისათვის, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის გაძლიერებას.

სხვა დემოკრატიულ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მიმდინარეობებთან ერთად, მშვიდობის ყველა დამცველთან ერთად კომუნისტები აქტიურად იღვწიან ევროპის მშვიდობიანი მომავლისათვის, სახელმწიფოებისა და ხალხების ფართო სასარგებლო ურთიერთობისათვის. ამ გზაზე დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იქნება ევროპის საზოგადოებრივი ძალების ბრიუსელის მეორე ასამბლეა, რომელიც ამ დღეებში გაიხსნება.

საბჭოთა კომუნისტები, რომლებიც მუდამ ერთგული არიან ლენინური ტრადიციისა, ყოველნაირად შეუწყობენ ხელს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის პოზიციების ერთიანობასა და განმტკიცებას, მუშათა კლასის ერთიანობას, მთელი მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული და ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირებას. ჩვენი პარტია ენერგიულად უწყობს ხელს ყველა ინიციატივას, რომელიც ითვალისწინებს ამ მიზნების მიღწევას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გაიმარჯვებს დემოკრატიული იდეოლოგია და ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ლენინური პოლიტიკა.

## III. ლენინური პარტია — საბჭოთა ხალხის მებრძოლი ავანგარდი

ამხანაგებო! საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვება და მიღწევა, მისი ცხოვრება, მისწრაფებანი და მიზნები განუყრელად დაკავშირებულია კომუნისტური პარტიის — ლენინის დიადი პარტიის მოღვაწეობასთან.

შრომასა და ბრძოლაში, სიხარულისა და მკაცრი განსაცდელის დღეებში ჩვენი პარტია ყოველთვის ხალხთან არის. კომუნიზმის გზაზე გადადგმული ყოველი ჩვენი ნაბიჯი, მთელი საბჭოთა სოციალისტური სინამდვილე მოწმობს რომ თანმიმდევრულად ხორციელდება ლენინის ანდერძი. პარტია წარმატებით ახორციელებს თავის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლს, რომელიც ლენინმა განსაზღვრა: „გაუძღვეს მთელ ხალხს სოციალიზმისაკენ, წარმართოს და მოაწყოს ახალი წყობილება, იყოს ყველა მშრომელის და ექსპლოატირებულის მასწავლებელი, ხელმძღვანელი, ბელადი“. პარტიამ ხალხისადმი უანგარო ერთგულებით მოიხვეჭა მისი სიყვარული, აღიარება, ნდობა; მისი ავტორიტეტი ხალხში უსაზღვროა. სოციალიზმისათვის ათეულ წლების ბრძოლით გამოჭედილი და ნაწრთობი პარტიისა და ხალხის იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა ახლა უფრო მტკიცეა, ვიდრე ოდესმე.

ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა მწყობრი, დასრულებული მოძღვრება მუშათა კლასის ახალი ტიპის პარტიის, რევოლუციურ ბრძოლაში, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობასა და განვითარებაში მისი ხელმძღვანელი როლის შესახებ. იგი დადასტურდა ჩვენს ქვეყანასა და სოციალისტური თანამეგობრობის მოძმე ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკით.

პარტიის ხელმძღვანელი როლი სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კანონზომიერებაა. მხოლოდ პარტიას, რომელიც შედგება მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლებისაგან და სრულყოფილად ფლობს მოწინავე თეორიას, ეყრდნობა საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერას, ძალუძს სწორი მიმართულება მისცეს საზოგადოების განვითარებას. იგი ამუშავებს ქვეყნის პოლიტიკურ კურსს, სახავს ხალხის საქმიანობის გეგმებს და ხელს უწყობს მათ შესრულებას.

საბჭოთა საზოგადოება რთული სოციალური ორგანიზმია, რომელიც დინამიკურად ვითარდება. და მხოლოდ ასეთ უმაღლესი დონის ორგანიზაციას, როგორიც არის მარქსისტულ-ლენინური პარტია, მუშათა კლასის პარტია, რომელიც ამავე დროს გახდა მთელი ხალხის ავანგარდი და გამოხატავს მის ინტერესებს, მისწრაფებებსა და იმედებს, შეუძლია გაითვალისწინოს ყოველი კლასისა და სოციალური ფენის, ყოველი ერისა და ეროვნების, ჩვენი საზოგადოების ყველა თაობის სპეციფიკური მოთხოვნებიც.

საბჭოთა საზოგადოების მთელი ცხოვრება გამსჭვალულია ნამდვილი სოციალისტური დემოკრატიზმით. უმეტესი სისავსით იგი ხორციელდება სახალხო ხელისუფლების ორგანოების — მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მრავალმხრივი საქმიანობით. ივნისში გაიმართება მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი ორგანოებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები, ეს ფართო კამპანიაა, რომლის დროსაც ეწყობა საბჭოთა ორგანოების საქმიანობის დათვალიერება ქვემოდან ზემოთ. მასში მონაწილეობს მილიონობით საბჭოთა მოქალაქე, რომლებიც თავისუფლად და პასუხისმგებლობით მსჯელობენ თავიანთ რჩეულთა — დეპუტატთა შესახებ, და შესაბამისი საბჭოთა ორგანოები. არჩევნები საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის მკაფიო მაგალითია. ამასთან უნდა აღვნიშნოთ ჩვენი დემოკრატიის დიდმნიშვნელოვანი თავისებურება — მშრომელთა აქტიური და შეგნებული მონაწილეობა საზოგადოების ყველა საქმის მართვაში ხორციელდება არა მარტო სახელმწიფო ორგანოების, არამედ მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების განშტოებული ქსელის: პროფკავშირების, ლენინური კომკავშირისა და სხვათა მეშვეობით.

სწორედ პარტია — მთელი საზოგადოებრივი სისტემის მაორგანიზებელი ბირთვი უზრუნველყოფს საზოგადოების მიზანმიმართულ პროპორციულ და ჰარმონიულ განვითარებას, ყველა მისი სფეროს შეთანხმებულ მუშაობას, ყველა სახელმწიფო ორგანოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობის კოორდინაციას. იგი იღვწის მათი მუშაობის უმაღლესი ეფექტიანობისათვის.

ასრულებს რა ხალხის ნებას, პარტია დღენიადაგ ზრუნავს ქვეყნის თავდაცვისა და მისი შეიარაღებული ძალების განმტკიცებისათვის. და სრული საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ: საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება, მისი მიღწევები და აღმშენებლობითი შრომა საიმედოდ არის დაცული.

მთელ თავის საქმიანობაში კომუნისტური პარტია უცვლელად ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური თეორიით, რომელიც გვიჩვენებს, როგორ უნდა გადავჭრათ მორიგი ამოცანები და განვჭვრიტოთ მომავალი. ჩვენმა პარტიამ თავისი ბელადისა და მასწავლებლისაგან ისწავლა რევოლუციური თეორიის პრინციპების ერთგულება, მისდამი შემოქმედებითი დამოკიდებულება. იგი უდიდეს თეორიულ მუშაობას ეწევა, დღენიადაგ ამდიდრებს რევოლუციურ მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას, რომელიც იძლევა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის განზოგადებულ სურათს მათს ურთიერთკავშირში და უჩვენებს საზოგადოების წინსვლის სწორ გზას.

მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების განვითარებაში უდიდესი ნაბიჯია სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი. პარტიულ დოკუმენტებში, ჩვენი მეცნიერების ნაშრომებში დამუშავებულია კომუნისტური მშენებლობების, მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარების ახლანდელი ეტაპის აქტუალური პრობლემები.

უკანასკნელ წლებში პარტიის მიერ დამუშავებულ ბევრ თეორიულ საკითხთა შორის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება სოციალიზმის შემდგომი განვითარებისა და კომუნიზმში მისი გადაზრდის საკითხს.

ცნობილია, რომ პირველად სოციალიზმისა და კომუნიზმის, როგორც კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზის შესახებ, დასკვნა გამოიტანა კ. მარქსმა ნაშრომში „გოთას პროგრამის კრიტიკა“, რომლის დაწერის დროიდან მაისში ასი წელი სრულდება.

მარქსმა გვიჩვენა კომუნისტური ფორმაციის ორი ფაზის მთავარი ნიშნები და განსხვავებანი, დასვა სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პრობლემა. ლენინმა მარქსისა და ენგელსის მოძღვრება განავითარა ამ უმნიშვნელოვანეს დარგშიც, აღმოაჩინა სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის ძირითადი კანონზომიერებანი. მაგრამ მაშინ ახალი საზოგადოების მშენებლობა ის-ის იყო იწყებოდა და ლენინს შესაძლებლად არ მიაჩნდა მიეცა ვრცელი დახასიათება სოციალიზმის მომავლისათვის, მან აღნიშნა მხოლოდ მთავარი მიმართულებანი მის განვითარებაში. ახალი საზოგადოების შექმნის პროცესში ჩვენი პარტია ავითარებდა და აღრმავებდა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას სოციალიზმის შესახებ. როცა საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ააშენა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, დღის წესრიგში თეორიულადაც და პრაქტიკულადაც დადგა მისი შემდგომი პროგრესისა და კომუნიზმზე გადასვლის კონკრეტული პრობლემები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მარქსისა და ენგელსის მითითებათა საფუძველზე, თეორიულად შეიმუშავა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების უმნიშვნელოვანესი პრინციპები. მან ღრმად და ყოველმხრივ მეცნიერულად გააანალიზა მისი ეკონომიური საფუძველი, პოლიტიკური ორგანიზაცია, საზოგადოებრივი შეგნების ფორმები. მაგრამ პარტია არ სჯერდება მხოლოდ იმის დახასიათებას, რაც უკვე გვაქვს, რაც რეალურად არსებული გახდა. მის დოკუმენტებში მეცნიერულად არის დამუშავებული აგრეთვე სოციალიზმის კომუნიზმზე გადასვლის, კომუნისტური საზოგადოების მომავალი ფორმების მომწიფების გზები.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პარტია კომუნიზმზე გადასვლის პრობლემას წყვეტს თეორიულადაც და პრაქტიკულადაც არა ცალკეულ ნაწილებად, არამედ ამ ურთულესი ისტორიული პროცესის ყველა ეკონომიური, სოციალურ-პოლიტიკური, იდეოლოგიური მხარისა და ურთიერთობის ერთიანი კომპლექსით.

პარტიის თეორიული მუშაობა იდეოლოგიური დაწესებულებებისა და პარტიის მუშაკებისაგან, პარტიული ორგანიზაციებისა და ყველა კომუნისტისაგან მოითხოვს დიდ ყურადღებას, ენერგიას, გააზრებულ დამოკიდებულებას. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ სოციალისტური საზოგადოების შემდგომი პროგრესის პრობლემათა დამუშავებაში ვითარდება სულ უფრო მჭიდრო თანამშრომლობა სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიათა შორის.

მარქსისტ-ლენინელებისათვის თეორიის შემუშავება თვითმიზანი არ არის, მან გზა უნდა გაუნათოს რევოლუციურ პრაქტიკას. „ჩვენი თეორიული შეხედულებების დანიშნულება ის არის, — ამბობდა ლენინი, — რომ გვიხელმძღვანელოს ჩვენს რევოლუციურ საქმიანობაში. ჩვენი თეორიული შეხედულებების შემოწმების საუკეთესო ადგილია საბრძოლო საქმიანობის ველი“. კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა, ბრძოლა მეცხრე ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, მშვიდობის პროგრამის განხორციელებისა და სოციალიზმის მსოფლიო პოზიციების გაძლიერებისათვის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის — სწორედ ეს არის ახლა ჩვენი საბრძოლო საქმიანობის ველი!

ლენინის ანდერძის ერთგული ჩვენი პარტია განუწყვეტლივ განამტკიცებს თავის რიგების ერთიანობას, რაც მძლავრს, უძლეველს ხდის, ყოველგვარი ამოცანის გადაწყვეტის უნარს ანიჭებს მას. ახლახან მოწყობილმა პარტიული დოკუმენტების გამოცვლამ ცხადყო კომუნისტების უსაზღვრო ერთგულება ლენინის დიადი იდეებისა და საქმისადმი, მათი მონოლითური შეკავშირება სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. ის, რომ ეკუთვნიან დიად ლენინურ პარტიას, იწვევს კომუნისტთა კანონიერ სიამაყეს, გაზრდილ პასუხისმგებლობას მის წინაშე თავისი საქმიანობისათვის, თავისი მოვალეობების, ლენინის იმ მოთხოვნის ზუსტი და უთუო შესრულებისათვის, რომ უფრო ამაღლონ პარტიის წევრის წოდება და მნიშვნელობა.

პარტიის ხელმძღვანელი როლის გადიდება გულისხმობს მთელი პარტიული, ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლებას, მისი ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, პრაქტიკაში ყველგან ლენინური სტილის თანმიმდევრულ დამკვიდრებას. მისი ძირითადი ნიშნებია ზუსტი მეცნიერულობა, მუდმივი კავშირი მასებთან, ნამდვილი კოლექტიურობა და პერსონალური პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, ინიციატივის განვითარება, შეგნებული დისციპლინა და ნაკლოვანებებისადმი შეუწყნარებლობა.

პარტია ვითარდება მთელ ჩვენს ქვეყანასთან, ხალხთან ერთად. ყოველთვის დასახულ ამოცანათა დონეზე რომ იყოს, გვასწავლიდა ლენინი, მუშათა კლასის, ხალხის ავანგარდი დღენიადაგ უნდა მუშაობდეს საკუთარ თავზე. პარტია მტკიცედ ახორციელებს საზოგადოების ხელმძღვანელობის მეთოდების სრულყოფის, თავისი რიგების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესების, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების ხაზს, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ განსაზღვრა.

შინაპარტიული ცხოვრების შემადგენელი ნაწილი, პარტიულ ორგანიზაციათა ქმედუნარიანობისა და პარტიული ხელმძღვანელობის ამაღლების საშუალება პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა. ჩვენი პარტიის ძალად, მისი წარმატების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ლენინს მიაჩნდა ის, რომ იგი იძლევა იდეური, მტკიცე, გაბედული კრიტიკის მაგალითს. „ნუ შევუშინდებით საკუთარი შეცდომების აღიარებას, ნუ შევუშინდებით მრავალგზის, განმეორებითს შრომას მათ გამოსასწორებლად, — წერდა იგი, — და ჩვენ სულ მწვერვალს მივაღწევთ“.

სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ისეთ უზარმაზარ და რთულ საქმეში, როგორიც ახლა კომუნისტური მშენებლობაა, რომელიც აერთიანებს ათეულ მილიონობით ადამიანს, არ იყოს ნაკლოვანებანი, შეცდომები, კანონიერებისა და დისციპლინის დარღვევები, ხარვეზები, ბიუროკრატიზმი, უძრაობა, მუშაკთა უყაირათობა, დაუდევრობა. რა თქმა უნდა, ასეთი მოვლენები შეიძლება იყოს და არის კიდეც. მათ წინააღმდეგ ბრძოლისა და ყველა ორგანიზაციის მუშაობის დონის ამაღლების ნაცადი მეთოდია კრიტიკა და თვითკრიტიკა, რაც ახლახან მოგვაგონა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში ტამბოვის საოლქო პარტიული ორგანიზაციის შესახებ. ცენტრალური კომიტეტი პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ლენინურად მიუდგნენ მწვავე, პირდაპირი კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას, რომლებსაც ახლა სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება.

პარტიულ ორგანიზაციათა ავანგარდული როლი, ბრძოლისუნარიანობა და პოლიტიკური გავლენის ძალა უშუალოდ არის დამოკიდებული კომუნისტთა იდეური, თეორიული მომზადების დონეზე. პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინურ განათლებას, ამ მიზნით იყენებს აღზრდის მრავალფეროვანი ფორმების ფართო, გააზრებულ სისტემას, მარად ცოცხალი, განვითარებადი ლენინური მოძღვრება პარტიის იდეურ-პოლიტიკური ცხოვრების ცენტრშია, მთელი მისი გარდამქმნელი საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენში უდიდესი ყურადღება ეთმობა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის თხზულებათა გამოცემას. მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ლენინის წიგნები გამოიცა 92 მილიონზე მეტი ეგზემპლარი საერთო ტირაჟით. ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს კითხულობენ მთელ მსოფლიოში. ისინი გამოდის 125 ენაზე 63 ქვეყანაში, თარგმნილ ლიტერატურაში მათ პირველი ადგილი უჭირავთ მსოფლიოში. ამ ნაწარმოებებით სწავლობს ცხოვრებასა და ბრძოლას ყველა კონტინენტზე მილიონობით ადამიანი.

ლენინიზმის საფუძველზე საბჭოთა ადამიანების იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდა, ხალხის განათლების, ცხოვრების კულტურული დონის ამაღლება, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დამკვიდრება მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის მთავარი შინაარსია.

ამ მუშაობის ყველა ფორმისა და მიმართულების მნიშვნელობა და ამიტომ მისი ყოველი ღონისძიების გაძლიერების აუცილებლობა განსაკუთრებით დიდია თანამედროვე პირობებში, როცა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის მწვავე იდეოლოგიური ბრძოლა მიმდინარეობს. საჭიროა კვლავაც შეურიგებელი ბრძოლა ვაწარმოოთ ანტიკომუნიზმისა და ანტისაბჭოურობის, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და რევიზიონიზმის, აგრეთვე წარსულის მავნე გადმონაშთების, ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო შეხედულებებისა და ჩვეულებების წინააღმდეგ.

პარტიის აღმზრდელობითი მუშაობის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული იდეოლოგიური კადრების რიცხვზე და, რაც მთავარია, მათი მომზადების დონეზე. ამ ბოლო დროს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა იდეოლოგიური კადრების მომზადების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების მთელი რიგი ღონისძიებანი. ეს ღონისძიებანი, თუ ისინი თანმიმდევრულად განხორციელდა, უეჭველია, დადებითს შედეგს მოგვცემენ და ხელს შეუწყობენ პარტიის იდეოლოგიური მუშაობის კიდევ უფრო მეტ გაქანებას, მისი შინაარსის, კომუნისტური იდეებისა და მათი სინამდვილედ გადაქცევის პრაქტიკის მჭიდრო კავშირის გაღრმავებას, ხალხის უფართოესი მასების მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი მოძღვრების დაუფლებას.

ამხანაგებო! ლენინიზმი კაცობრიობას უსახავს კომუნისტური მომავლის წარმტაც რეალურ პერსპექტივას, რომელიც შეესაბამება ყველა კონტინენტის, ყველა ქვეყნის მშრომელთა მისწრაფებებს, საარსებო ინტერესებს. პრაქტიკა, ასეულ მილიონობით ადამიანის გამოცდილება, მსოფლიო ისტორია ამტკიცებს, რომ სწორი და ცხოველმყოფელია ლენინის დიადი და უკვდავი მოძღვრება. სავსებით კანონზომიერია, რომ ლენინიზმის დროშის ქვეშ წლითიწლობით მთელ მსოფლიოში დგებიან მებრძოლთა ახალ-ახალი რაზმები, რადგან ლენინის იდეები მიაჩნიათ მოქმედების სახელმძღვანელოდ.

დიდი კმაყოფილებით ვხედავთ, როგორ იცვლება, გარდაიქმნება მთელი უზარმაზარი თანამედროვე მსოფლიო ძლევამოსილი ლენინური იდეებით შეიარაღებული რევოლუციური ძალების ზემოქმედებით. მტკიცდება სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, ძლიერდება მშრომელთა ბრძოლა მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის. ღრმა ძვრები ხდება საერთაშორისო ურთიერთობის მთელ სისტემაში.

ყოველი ახალი ხუთწლედის შემდეგ, წლითიწლობით მტკიცდება ეკონომიურად და პოლიტიკურად საბჭოთა კავშირი — ლენინის სამშობლო, განვითარებული სოციალიზმის ქვეყანა. ჩვენი ხალხის ცხოვრება მატერიალურად სულ უფრო უზრუნველყოფილი, სულიერად მდიდარი და შინაარსიანი ხდება.

საბჭოთა ხალხისა და მისი კომუნისტური პარტიის წინაშე ახლა დგას კომუნიზმის მშენებლობის ახალი რთული და ამავე დროს შთამაგონებელი ამოცანები, უფრო ფართოდ ისახება ჰორიზონტები მომავლისა, რომელსაც ჩვენ ვქმნით.

საბჭოთა ხალხმა ლენინის უძლეველი დროშით, თავისი ლენინური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულმა, პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია ბევრ დიდ გამარჯვებას და ახლა გულდაჯერებით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას, უკვალავს რა გზას მთელ კაცობრიობას.

გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — ყველა ქვეყნის მუშათა კლასის, მშრომელების მარად ცოცხალ ინტერნაციონალურ მოძღვრებას!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და გმირ საბჭოთა ხალხს, რომელიც ლენინიზმის ძლევამოსილი დროშით მიდის კომუნისტური იდეალების სრული გამარჯვებისაკენ!

# ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის, საგარეო საქმეთა მინისტრის ისმაილ ფაჰმის სსრ კავშირში ვიზიტის შესახებ

**ეგვიპტის** არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ისმაილ ფაჰმი 1975 წლის 19-22 აპრილს საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა ოფიციალური მეგობრული ვიზიტით საბჭოთა ხელმძღვანელობის მოწვევით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ი. ფაჰმი და ესაუბრა საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ აქტუალურ პრობლემაზე. მთავარი ყურადღება დაეთმო ახლო აღმოსავლეთის პრობლემას.

ი. ფაჰმიმ გადასცა ლ. ი. ბრეჟნევს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის ა. სადათის სიტყვიერი დანაბარები.

გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის, საგარეო საქმეთა მინისტრის ი. ფაჰმის მოლაპარაკება, რომელიც საქმიან, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

ორმხრივი ურთიერთობის განხილვის დროს მხარეებმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ სსრ კავშირისა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ურთიერთობა კვლავაც ააგონ საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მტკიცე საძირკველზე. მხარეებს ერთი აზრი აქვთ იმის თაობაზე, რომ კვლავაც ყველაფერი იღონონ ამ ურთიერთობის შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფისათვის ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ.

მოლაპარაკების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა კვლავინდებურად მეტად საშიშია ისრაელისა და მისი მომხრე იმპერიალისტური ძალების აგრესიული პოლიტიკის შედეგად.

მხარეებმა კვლავ დაადასტურეს, რომ თუ ისრაელი მთლიანად არ გაიყვანს ჯარებს 1967 წელს ოკუპირებული ყველა არაბული ტერიტორიიდან და არ დაიცავს პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ ეროვნულ უფლებებს, მათ შორის საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლებას, ახლო აღმოსავლეთში ვერ დამყარდება სამართლიანი და მტკიცე მშვიდობა, რომელიც უზრუნველყოფს ამ რაიონის ყველა სახელმწიფოს დამოუკიდებელ არსებობასა და განვითარებას.

ითვალისწინებენ რა თავიანთ უცვლელ პრინციპულ პოზიციას ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მოწესრიგების საკითხში, საბჭოთა კავშირი და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა აცხადებენ, რომ კვლავაც განახორციელებენ უაღრესად ენერგიულ ღონისძიებებს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის რადიკალური მოწესრიგების მიღწევისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის ცნობილი გადაწყვეტილებების სრული მოცულობით შესრულების საფუძველზე.

საბჭოთა კავშირსა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკას ერთი აზრი აქვთ იმის თაობაზე, რომ ჟენევის საზავო კონფერენციამ ახლო აღმოსავლეთის შესახებ უნდა განაახლოს მუშაობა უახლოეს დროში. მათ აგრეთვე ხაზი გაუსვეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კონფერენციის გულდასმით მომზადებას, რათა მას მოჰყვეს საბოლოო და ყოვლისმომცველი გადაწყვეტილებების მიღება ახლო აღმოსავლეთის პრობლემის შესახებ. ყოველგვარი ნაწილობრივი ღონისძიებანი და მათ გამო მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებანი უნდა იყოს საერთო მოწესრიგების შემადგენელი, განუყრელი ნაწილი და უნდა განხორციელდეს და მიღებულ იქნას ახლო აღმოსავლეთის შესახებ კონფერენციის ფარგლებში.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ჟენევის კონფერენციის მუშაობაში სხვა მის მონაწილეებთან თანაბარი უფლებებით.

საბჭოთა კავშირში ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის, საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტს, მხარეთა აზრით, დადებითი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ურთიერთგაგების შემდგომი განმტკიცებისა და მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის.

# ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობისათვის

**ბონი, 22 აპრილი. (საკდესის კორ.). კონფერენციაზე, რომელიც მაინის ფრანკფურტში გაიმართა, შეიქმნა „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა-სსრ კავშირის" საზოგადოებათა სამუშაო ჯგუფი.**

მიღებულია სამუშაო ჯგუფის წესდება, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა განმტკიცდეს და გაღრმავდეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის საზოგადოებრიობის კავშირურთიერთობა მშვიდობის უზრუნველყოფისა და ორი ქვეყნის ხალხთა ურთიერთგაგების მიზნით.

ჯგუფის საქმიანობის ყოველდღიურ ხელმძღვანელობას განახორციელებს გამგეობა. სამუშაო ჯგუფის პრეზიდენტად არჩეულია ცნობილი დასავლეთგერმანელი საზოგადო მოღვაწე ჰერალდ კოხი.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ჰ. კოხმა განაცხადა, რომ სამუშაო ჯგუფის შექმნა მნიშვნელოვანი ნაბიჯია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზოგადოებრიობის და სსრ კავშირის საზოგადოებრიობის კავშირურთიერთობისა და კონტაქტების შემდგომი განმტკიცების გზაზე.

ჰ. კოხმა ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამუშაო ჯგუფს თავისი საქმიანობის მთავარ აზრად მიაჩნია ხელი შეუწყოს მოსკოვის ხელშეკრულებისა და სხვა დოკუმენტების განხორციელებას, რომლებიც მოასწავებენ ძირეულ შემობრუნებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში.

# ჯ. ფორდის ინტერვიუ

**ვაშინგტონი, 22 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა „სი-ბი-ესის" სატელევიზიო კომპანიას მისცა ინტერვიუ, რომელშიც შეეხო სამხრეთ ვიეტნამის მდგომარეობას.**

როგორც ჯ. ფორდმა თქვა, შეერთებული შტატები საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილებს საჰაერო გზით გზავნის ჰავაის კუნძულებიდან წყნარი ოკეანის ამ რაიონში. პრეზიდენტი შეეცადა გაემართლებინა ეს იმით, რომ აუცილებელია ევაკუაცია ამერიკელებისა და იმ სამხრეთვიეტნამელებისა, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობენ.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ ბევრჯერ ხაზგასმით აღნიშნა, დაბრკოლებებს არ შევუქმნით ამერიკის სამხედრო პერსონალის ევაკუაციას, და რომ თავის დროზე უზრუნველყოფილი იყო ამერიკის საექსპედიციო კორპუსის ათიათასობით ჯარისკაცის უსაფრთხო გაყვანა, როგორც ეს პარიზის შეთანხმებითაა გათვალისწინებული, ჯ. ფორდს ინტერვიუს დროს არ გამოურიცხავს, რომ შეერთებულმა შტატებმა შესაძლოა „საკმაოდ სერიოზული ხანმოკლე სამხედრო ოპერაცია" განახორციელოს სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკელთა გამოყვანისას. შემდეგ იგი ამტკიცებდა, რომ ახლანდელი კანონმდებლობა ანიჭებს მას უფლებამოსილებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მყოფი ამერიკის შეიარაღებული ძალები გამოიყენოს ასეთი ოპერაციისათვის და რომ ამჟამად კონგრესმა „უნდა გაარკვიოს მისი უფლებამოსილება, შეუძლია თუ არა გამოიყენოს ამერიკის შეიარაღებული ძალები იმ სამხრეთვიეტნამელთა ევაკუაციისათვის, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობენ".




# ექსპერტთა აზრი

**ნიუ-იორკი, 22 აპრილი. (საკდესის კორ.). კიდევ ერთმა ავტორიტეტულმა ამერიკელმა სპეციალისტმა მოითხოვა პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელობის ვითარებათა ახალი გამოძიება.**

ამერიკის სასამართლო მედიცინის აკადემიის პრეზიდენტმა რობერტ ჯოლინგმა, რომელიც გამოვიდა ქალაქ დალასში (ტეხასის შტატი), სადაც 1963 წელს მოხდა „საუკუნის მკვლელობა", განაცხადა, რომ ჯონ კენედის დაახლოებით შვიდჯერ ესროლეს. მაგრამ, კიდევაც რომ დავუშვათ, თითქოს სულ სამი გასროლა იყო, როგორც ამას ოფიციალური ვერსია ამტკიცებს, მაშინ სამი ტყვიიდან ერთ-ერთი უნდა გაესროლა მეორე პირს, ვინაიდან დროის ასეთ მოკლე მონაკვეთში ერთი კაცი ვერ ისროდა ასე ზუსტად სამ ტყვიას, ხაზი გაუსვა ჯოლინგმა.

მან ძმების ჯონ და რობერტ კენედების მკვლელობის გარემოებათა განხილვისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სიმპოზიუმის მონაწილეებს აგრეთვე განუცხადა, რომ ექიმ ჰიუმს, რომელმაც სიკვდილის შემდეგ გაკვეთა გვამი, არავითარი მომზადება არ გააჩნდა სასამართლო მედიცინის დარგში, და მისი დასკვნა, რომ კენედის ერთმა კაცმა ესროლა, საკმაო ავტორიტეტულად ვერ ჩაითვლება.

გარდა ამისა, თქვა შემდეგ ჯოლინგმა, ტყვიების ტრაექტორიათა ჩანახატები, რომლებიც გაკვეთის საფუძველზე გაკეთდა და უორენის კომისიამ ლამის მთავარ საბუთად წარმოადგინა, დამახინჯებული იყო, ხოლო შემავალი და გამავალი ჭრილობები ზუსტად არ იყო აღნიშნული.

ჯონ კენედის მკვლელობის ოფიციალური ვერსიის მიმართ უკანასკნელ ხანს სერიოზული შენიშვნები გამოთქვეს აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრის ყოფილმა თანაშემწემ გ. გრიფინმა, რომელიც მონაწილეობდა უორენის კომისიის მუშაობაში, დემოკრატმა კონგრესმენმა ტეხასის შტატისაგან გ. გონსალესმა, ახალი ორლეანის ყოფილმა საოლქო პროკურორმა ჯ. ჰარისონმა და ამერიკის შეერთებული შტატების მთელმა რიგმა თვალსაჩინო მოღვაწეებმა. მათ მოითხოვეს „საუკუნის დანაშაულის" ახალი გამოძიება.

## კამბოჯა:

# გამარჯვებულთა მარში

**ბანგკოკი, 21 აპრილი. (საკდესი). ეროვნული განთავისუფლების ძალები სპობენ წინააღმდეგობის უკანასკნელ კერებს კამბოჯის ტერიტორიაზე. მთლიანად განთავისუფლდა ქვეყნის ბრინჯის ბეღელი—ბატამბანგის პროვინცია. ქალაქ ბატამბანგის გარნიზონი უბრძოლველად დანებდა, თუმცა პნომპენის რეჟიმის მეთაურების ჩანაფიქრით ეს ქალაქი უნდა გამხდარიყო პნომპენის დაცემის შემდეგ რეჟიმის განადგურებული ჯარების ნარჩენების წინააღმდეგობის ცენტრი.**

გუშინ განთავისუფლების ძალების ქვეგანაყოფები შევიდნენ ქალაქ პოიპეტში, რომელიც დიდმნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძია ტაილანდის საზღვარზე. ქალაქის მოსახლეობა აღფრთოვანებით ესალმებოდა სახალხო არმიის მებრძოლებს.

უკანასკნელ დღეებში განთავისუფლებულ პროვინციულ ცენტრებში, ისევე როგორც ქვეყნის დედაქალაქ პნომპენში, ცხოვრება სწრაფად დგება ნორმალურ კალაპოტში. აღვილობრივი მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობს ომის შედეგების ლიკვიდაციაში, არემონტებს ქალაქის ქუჩებს, გზებს, ხიდებს. ყველგან იქმნება ხელისუფლების ახალი ორგანოები.

მთელი მსოფლიოდან პნომპენში კვლავ მოდის მისალმებანი კამბოჯელი ხალხის გამარჯვების გამო.

მეზობელ ტაილანდში თავს იყრიან კამბოჯიდან გაქცეული პნომპენის რეჟიმის დიდი თანამდებობის მოხელეები და გენერლები. ტაილანდის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა ამ კამბოჯელს ქვეყნიდან გააძევებენ, ხოლო სამხედრო და სამოქალაქო თვითმფრინავებსა და ვერტმფრენებს, აგრეთვე სახმელეთო ტრანსპორტს, რომლითაც ისინი ტაილანდში გაიქცნენ, კამბოჯას დაუბრუნებენ.

# მოკლედ

**ბერლინი.** ბერლინის გერმანული სახელმწიფო ოპერის სცენაზე დაიდგა საბჭოთა კომპოზიტორ რ. შჩედრინის ოპერა „არამარტო სიყვარული".

**ვარშავა.** „საბჭოთა ახალგაზრდობა" — ამ სახელწოდებით ვარშავაში გაიხსნა ფოტოგამოფენა. იგი ეწყობა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის კულტურის დღეების ფარგლებში.

**ტოკიო.** მოსამსახურე პერსონალმა იაპონიის ავიაკომპანია „ნიპონ კოკუს" („ჯაპან ეირლაინზ") ლაინერთა ეკიპაჟების შემადგენლობიდან 24 საათის გაფიცვა დაიწყო. გაფიცულნი ხელფასის მომატებასა და შრომის პირობების გაუმჯობესებას მოითხოვენ.

# მამათა დიდებისა და გმირობის მემკვიდრენი

**1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტი ახალგაზრდობისა და ტექნიკუმების მოსწავლეთა რესპუბლიკური შეკრება**

22 აპრილს — ვ. ი. ლენინის დაბადების დღეს — თბილისში მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ სტუდენტი ახალგაზრდობისა და ტექნიკუმების მოსწავლეთა რესპუბლიკურმა შეკრებამ, რომელიც ეძღვნება 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავს.

შეკრების ორგანიზატორები არიან საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკური სამხედრო კომისარიატი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ გმირი ქალაქების — მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, ვოლგოგრადის, ბრესტის, ნოვოროსიისკის, ქერჩის, ოდესის, სევასტოპოლისა და ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების — აზერბაიჯანისა და სომხეთის სტუდენტთა დელეგაციები და დიდი სამამულო ომის ვეტერანები.

შეკრების საპატიო სტუმართა შორის არიან საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, პოლკოვნიკი ლ. ს. დიომინი, საქართველოში მცხოვრები 44 საბჭოთა კავშირის გმირი და დიდების სამივე ხარისხის ორდენის 16 კავალერი.

22 აპრილს დილით სტუდენტი ახალგაზრდობისა და ტექნიკუმების მოსწავლეთა რესპუბლიკური შეკრების დელეგაციები და საპატიო სტუმრები მონაწილეობდნენ ვ. ი. ლენინის ძეგლის კვარცხლბეკის გვირგვინებით შემკობის საზეიმო ცერემონიაში.

რუსთაველის პროსპექტიდან ლენინის მოედნისაკენ მიემართება ათი მანქანა, რომლებშიც სხედან ათი გმირი ქალაქის დელეგაციები. გაზაფხულის სიო არხევს მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ალმების ალისფერ აბრეშუმს — დიდი სამამულო ომის ძლევამოსილი ბრძოლების ქარ-ცეცხლში გამოწრთობილი ჩვენი ქვეყნის ხალხების ურღვევი ლენინური მეგობრობის სიმბოლოს.

ლენინის მოედანზე აღმართულ ილიჩის ძეგლთან მიდიან დელეგატები და სტუმრები. ძეგლის კვარცხლბეკთან მიაქვთ ცოცხალი ყვავილების გვირგვინები. ერთ-ერთ მათგანზე წარწერილია: „ვ. ი. ლენინს — დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობისა და ტექნიკუმების მოსწავლეთა რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებისაგან".

გვირგვინებით შემკობის ცერემონია ვადაიქცა ლენინის ანდერძისადმი, ლენინის იდეებისადმი, ლენინის მოძღვრებისადმი სტუდენტი ახალგაზრდობის, ისევე როგორც საქართველოს ყველა მშრომელის, ურღვევი ერთგულების მღელვარე დემონსტრაციად.

ლენინის მოედნიდან შეკრების მონაწილეები და სტუმრები მთელი ქალაქის გავლით გაემართნენ საბურთალოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კორპუსისაკენ. აქ გაიმართა მეგობრობის პარკის გაშენების საზეიმო ცერემონია.

ნერგები პირველმა დარგეს საბჭოთა კავშირის გმირმა, სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა პოლკოვნიკმა ლ. ს. დიომინმა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჟ. კ. შარტავამ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა გ. ნ. ჯიბლაძემ.

ნერგები დარგეს გმირი ქალაქების დელეგაციებმა. საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მიწაში ხათუთად ყრიან გმირი ქალაქებიდან და ვარსკვლაველთა ქალაქიდან ჩამოტანილ მიწას.

მეგობრობის პარკის გაშენების შემდეგ შეკრების მონაწილეებმა და სტუმრებმა მოაწყვეს ექსკურსია თბილისში.

საღამოს გაიმართა შეკრების მონაწილეთა საზეიმო სხდომა ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან, ომის ვეტერანებთან, რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან ერთად.

(საქინფორმი).



საფუძველს უყრიან მეგობრობის პარკს. მარცხნივ სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი ლ. დიომინი.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# როცა სიმღერა გვხიბლავს

## მ. ძიძიგურის სოლო კონცერტზე

**ამ დღეებში** საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მცირე დარბაზში გაიმართა მომღერალ მედეა ძიძიგურის სოლო კონცერტი, რომელსაც თბილისელი მაყურებელი გულთბილად შეხვდა. ეჭვი არ არის, რომ მ. ძიძიგურის ყოველი ახალი გამოჩენა სცენაზე ახალ სიმღერებთან შეხვედრას გვპირდება. მსმენელი შეეჩვია, რომ ამ ბოლო ხანს, ყოველ წელს მ. ძიძიგური სოლო კონცერტს მართავს და ამგვარად ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიშით წარსდგება ხოლმე მაყურებლის წინაშე.

მაინც რა გვხიბლავს ამ მომღერალთან შეხვედრისას? — პირველ რიგში სიმღერის დიდი სიყვარული, მუსიკალობა, გონივრულად შერჩეული რეპერტუარი და საცეხო კულტურა, რომელიც ასე ძალიან სჭირდება ქართულ ესტრადას.



ამჯერად მომღერლის ორსაათიანი რეპერტუარი მეტად მრავალფეროვანი იყო. თანამედროვე ქართული საესტრადო სიმღერები და რომანსები, ომისდროინდელი პოპულარული სიმღერები, ქალაქური სიმღერები მედუდუკეთა ანსამბლის თანხლებით და ბოლოს ძველებური რუსული რომანსები, რომელთა შესრულების უფლება მ. ძიძიგურმა უკვე დიდიხანია დაიმკვიდრა. მედეა ამ ჟანრის ერთგულია. ახლად აახმიანებს ოცდაათიანი წლების რუსულ რომანსებს, რომლებსაც უბადლო შემსრულებლები ჰყავდა თ. წერეთლისა და ქ. ჯაფარიძის სახით. მ. ძიძიგურის ღირსება სწორედ ის არის, რომ მას ტაქტი არ ღალატობს, ცდილობს მოკრძალებული, მაგრამ მაინც თავისი საკუთარი ინტონაციებით მოგვაწოდოს ესა თუ ის ჩვენთვის უკვე დიდი ხნიდან ნაცნობი რომანსები.

ქალაქური სიმღერა მეტად ჭირვეული ჟანრია. საკმარისია შინაგანი განცდებით გადააჭარბო და სიმღერა მდარე ხდება. სწორედ აქ იგრძნობა მ. ძიძიგურის, როგორც მომღერლის გონიერება, რომელსაც სიმღერას ისეთი ინტონაციებს გამოუძებნის, რომ იგი ამაღლებული და კეთილშობილი ხდება. ასე იყო ამჯერადაც დიდებულად ჟღერდა ეს სიმღერები მედუდუკეთა ანსამბლის თანხლებით, რომელსაც ნიჭიერი ხელოვანი გ. ქსოვრელი ხელმძღვანელობს. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სიმღერა „თუ ხარ საქართველოს შვილი". რამდენიმე რომანსი გიტარის თანხლებით შესრულდა (გიტარის აკომპანემენტს ს. ნაცვალაძე ასრულებდა). კარგი იყო საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტ ს. ებრალიძესთან და ვ. კუცრიასთან ერთად შესრულებული სიმღერები. და ბოლოს, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დ. მაჭავარიანის მშვენიერი აკომპანემენტი როიალზე.

კონცერტს დამსახურებული წარმატება ხვდა.

**ლილი გეგელია,**
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

# პიანისტის ფუნჯით

## ს. რიხტერის ნამუშევართა გამოფენა

**უჩვეულო** ექსპოზიციის მოწმენი იყვნენ თბილისელები — მხატვრის კვირეულთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო მხატვრის ელენე ახვლედიანის სახელოსნოში გაიხსნა გამოჩენილი საბჭოთა პიანისტის სვიატოსლავ რიხტერის ნამუშევართა გამოფენა. დიახ, დიდი მუსიკოსი ჩინებულად ფლობს ფუნჯსაც. აღსანიშნავია, რომ მოსკოვში, მის სახელოსნოში ამას წინათ მოეწყო ელენე ახვლედიანის ნამუშევართა გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ორმოცდაათამდე ნამუშევარი. მათი უმეტესობა პეიზაჟებია — „ვახტანგოვის ქუჩა", „ზაფხული", „ღამე და სახურავები", „რუსთაველის პროსპექტი", „ქუჩა პეკინში", რომლებიც მკაფიოდ გამოხატავენ მხატვრის განწყობილებას ნატურისადმი. ნაწარმოებებში იგრძნობა ფერწერის კულტურა, კოლორიტი, გულწრფელი დამოკიდებულება საქმისადმი, მაღალი მხატვრული დონე.

— დიდი კამათის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ჯერ მე მომეწყო გამოფენა მოსკოვში, შემდეგ კი რიხტერს — ჩემს სახელოსნოში. ამით მინდოდა საჩუქარი მომემზადებინა ჩვენი მხატვრებისათვის კვირეულთან დაკავშირებით. რიხტერი განწყობილებიანი მხატვარია, ნამდვილი პატრიოტია სახვითი ხელოვნებისა. არც კი შეიძლება ითქვას, რომ იგი პროფესიონალი არ არის. შესანიშნავი მოვლენაა თვით ის ფაქტი, რომ ეს გამოფენა ჩვენთან მოეწყო, — თქვა ელენე ახვლედიანმა სტუმრებთან საუბრის დროს.

გამოფენა ერთ კვირას გასტანს.

**მ. ჩაფიძე,**
**ნ. ნაცვალაძე.**

# ამანათები გამის მშენებლებს

**ხონი-ხატაური.** (საქინფორმის კორ.). ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლები მონაწილეობენ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაში, რომელიც გამოცხადებულია სრულიად საკავშირო კომკავშირულ მშენებლობად. მშენებელთა შორის არის საქართველოს სახელოვანი ახალგაზრდობაც.

ჩოხატაურის № 1 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გეოგრაფიის მასწავლებლის ნ. პაიჭაძის ხელმძღვანელობით შეკრიბეს მასალები ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობის შესახებ და მოაწყვეს სპეციალური კუთხე. სკოლის კომკავშირელებმა ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლებს გაუგზავნეს ამანათები.

# მაყურებელმა ნახა პრემიერა

**ჭიათურა.** (საქ. კორ.). ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სარაიონთაშორისო სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა კარგად დაიწყო თავისი მეოთხმოცე სეზონი — ახლახან მაყურებელს უჩვენა მორიგი პრემიერა, მარიკა ბარათაშვილის ორმოქმედებიანი დრამა „ფრთხილად სასიკვდილოა!"

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ს. ყიფშიძემ, მხატვრულად გააფორმა თ. სუმბათაშვილმა. მთავარი როლები შეასრულეს საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტებმა ა. დათებაშვილმა, ი. ჯიშკარიანმა, რ. აბზიანიძემ, ნ. ჩაჩანიძემ, ა. ბარათაშვილმა...

# საგზაო დამატებითი მატარებლები

**მშრომელთა** საერთაშორისო სოლიდარობის დღისათვის — 1 მაისისათვის ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ დანიშნა მთელი რიგი დამატებითი მატარებლები.

ჩვეულებრივ შემადგენლობათა გარდა, როგორც საქინფორმის კორესპონდენტს განუცხადეს მაგისტრალის სამგზავრო სამსახურში, დანიშნულია დამატებითი მატარებელი თბილისი-მოსკოვი. იგი შედგენის სადგურიდან გავა 24 და 26 აპრილს მოსკოვის დროით 17 საათსა და 08 წუთზე.

დამატებითი № 264 მატარებელი თბილისი-სოჭი თბილისიდან 18 საათსა და 05 წუთზე გავა 25, 27, 29 აპრილს, აგრეთვე 3, 5, 7, 11 მაისს. თბილისის სამგზავრო სადგურიდან 30 აპრილს ბათუმისაკენ გავა № 210 მატარებელი 19 საათსა და 40 წუთზე, ხოლო № 248 მატარებელი—0 საათსა და 10 წუთზე, რომლებიც 11 მაისამდე ექვს რეისს მოაწყობენ. დანიშნულია აგრეთვე ექსპერიმენტული სამგზავრო მატარებელი თბილის-სამტრედია, რომელიც თბილისიდან გავა 15 საათსა და 35 წუთზე.

დღესასწაულის დღეებში ივლიან ტურისტული და ეგრეთ წოდებული „საბავშვო მატარებლები" — თბილის-მოსკოვი, თბილის-სოჭი, თბილის-როსტოვი და სხვ. ექსკურსანტები ეწვევიან მოსკოვს, ლენინგრადს, კიევს, სევასტოპოლს, ბრესტსა და სხვა ქალაქებს. (საქინფორმი).

# ფეხბურთის ამბები

## მატჩი მოსკოვში

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მესამე ტურის ბოლო მატჩი უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის. დედაქალაქის „ტორპედო" მასპინძლობდა ლვოვის „კარპატს". თამაში დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით — 2:1.

## დღეს ჰოლანდიაში

**კიევის** „დინამო" დღეს ჰოლანდიაში ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეორე ნახევარფინალურ მატჩში შეხვდება „ეინდჰოვენს". შეგახსენებთ, რომ კიევში ამ გუნდების მატჩი დამთავრდა უკრაინელ ფეხბურთელთა დამაჯერებელი გამარჯვებით 3:0. ასპარეზობის ტელერეპორტაჟი ჰოლანდიიდან დაიწყება 23 საათზე თბილისის დროით.

## სამი ლიდერი

საქართველოს ფეხბურთის ჩემპიონატში პირველი დამარცხება განიცადა ერთ-ერთმა ლიდერმა — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა. ტყიბულში ანგარიშით 3:5 მან წააგო ადგილობრივ „მეშახტესთან".

გეგეჭკორის „სალხინომ" მოუგო პირველობის მეორე ლიდერს — ფოთის „კოლხეთს" — 2:1. ფოთელ ფეხბურთელებს დაეწიენ სოხუმელი დინამოელები, რომლებმაც თბილისის „განთიადთან" შეხვედრა დაამთავრეს ფრედ — 1:1, და წულუკიძის „იმერეთი", რომელმაც ანგარიშით 3:0 მოუგო თბილისის „ლოკომოტივს". ამ სამმა გუნდმა მოაგროვა ათ-ათი ქულა და ლიდერობს ჩემპიონატს.

## ჩოგბურთი

# თასი — თბილისელებს

**დიადი** გამარჯვების 30 წლისთავის მიეძღვნა საქართველოს თასის გათამაშება ჩოგბურთში, რომელიც თბილისის „დინამოს" კორტებზე დამთავრდა. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, რუსთავის, მცხეთისა და გარდაბნის რაიონის სპორტსმენები.

ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის სხვებზე კარგად გამოვიდნენ თბილისელი ჩოგბურთელები, თუმცა შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ მათი ლიდერები ა. მეტრეველი და თ. კაკულია, მასპინძლებმა დაამარცხეს ყველა თავიანთი მეტოქე და საპატიო ნადაველი მოიპოვეს.

(საქინფორმი).

სპორტი

## ჭადრაკი

# დიდი უპირატესობით...

**ვრნიაჩკა-ბანია.** (ტელეფონით). საერთაშორისო ტურნირის მე-10 ტურში მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი ხვდებოდა რუმინელ საერთაშორისო ოსტატს ჩოკილტიას. პარტია გადაიდო გაფრინდაშვილის დიდი უპირატესობით — მას ორი ზედმეტი პაიკი აქვს. ტურნირის ლიდერმა ა. გიპსლისმა მე-40 სვლაზე ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ბულგარელ ტრანგოვთან და ნახევარ ქულით კვლავ სათავეში უდგას გათამაშების ცხრილს. 6 ქულა და ერთი გადადებული პარტიით მეორე ადგილზეა იუგოსლაველი ოსტოიჩი, მესამეზე — მისი თანამემამულე მარტინოვიჩი — 5,5 ქულა (2). ნ. გაფრინდაშვილს 3,5 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს.

# ჩინებული სტარტი

**მათმა** საჭადრაკო რესპუბლიკური ჩემპიონატის მეოთხე ტურში ოსტატობის კანდიდატმა სტურუამ დაამარცხა გედევანიშვილი. ცქიტიშვილმა მოუგო მიქაძეს, ლომაიამ — ექვთიმიშვილს, ჩახოიანმა — მენაბდეს. ბუსლაევი-მზარელუა, ბიბილაშვილი-ჩიქოვანი და ჯობავა-ჩიბურდანიძე ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

წინა ტურის გადადებული პარტიების დამთავრებისას სტურუამ დაამარცხა მიქაძე და ექვთიმიშვილი, ტუზოვსკიმ — გოგიტიძე და ცქიტიშვილი. ჩიბურდანიძე-ბუსლაევის პარტია ყაიმით დამთავრდა.

მეხუთე ტურში კვლავ წარმატებით ითამაშა ლიდერმა — სტურუამ. მან მოსაგებ პოზიციაში გადადო პარტია კიკილაშვილთან.

ბუსლაევმა მოუგო ჯობავას, ექვთიმიშვილმა — გოგიტიძეს, ჩახოიანმა — ცქიტიშვილს, მიქაძემ — ლომაიას. საინტერესოდ მიმდინარეობდა ჩიბურდანიძე-ტუზოვსკის შეხვედრა. ნორჩი მოჭადრაკე მოგებისაკენ მიისწრაფოდა, მაგრამ გამოცდილმა სოხუმელმა ოსტატმა გაათანაბრა შესაძლებლობანი და მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

5 ტურის შემდეგ ჩინებული შედეგით — 4 ქულითა და 1 გადადებული პარტიით პირველ ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი სტურუა. ოსტატებს ბუსლაევსა და ტუზოვსკის 3,5-3,5 ქულა აქვთ თვითეულს.

# რატომ თქვა ფიშერმა უარი თამაშზე?

**ამერიკელმა** დიდოსტატმა რობერტ ბირნმა, რომელიც კარგად იცნობს ბობი ფიშერს, გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში" გამოაქვეყნა სტატია-ჰიპოთეზა. ამ სტატიაში ექს-ჩემპიონის უცნაური ქცევის ძირითად მიზეზად ის ასახელებს შიშს შესაძლებელი დამარცხების წინაშე.

ბირნის აზრით, ამ შიშს ფიშერი ადრეც განიცდიდა. სწორედ „დამარცხების წინაშე ირაციონალური შიშით" აიხსნება, აღნიშნავს ბირნი, ფიშერის ქცევა ისლანდიაში ბორის სპასკისთან მატჩის წინ. გარეგნულად ისე ჩანდა, თითქოს ეს იყო დავა დამატებითი შემოსავლის თაობაზე. როცა ერთი მეცენატი დათანხმდა გაეღო ფიშერის მიერ მოთხოვნილი 125 ათასი დოლარი, საბაბი, გაქრა და იგი დათანხმდა მისხდომოდა საჭადრაკო მაგიდას. თავისი ვერსიის დასასაბუთებლად ბირნი მკითხველებს მოაგონებს, რომ მატჩის შემდეგ ფიშერმა უარი თქვა შეხვედრებსა და ტურნირებზე, რომლებსაც შეეძლო მისთვის ხუთი მილიონი დოლარი მოეტანა.

წელულ ფიშერმა წამოაყენა მოთხოვნა შეეცვალათ მატჩის წესები, რომელიც საყოველთაო აღიარებით მას მნიშვნელოვან უპირატესობას აძლევდა პრეტენდენტის წინაშე. „საფსებით ნათელია, — წერს ბირნი, — რომ ფიშერი მოითხოვდა ისეთ რეგლამენტს, რომლის დროსაც მისი მეტოქე უთანაბრო პირობებში აღმოჩნდებოდა. და აი ფიშერმა თავისი მოთხოვნა ულტიმატუმად აქცია, იმიტომ კი არა, რომ ახალი სკანდალური სახელი სურდა მოეხვეჭა, არამედ იმიტომ, რომ დამარცხების წინაშე კონტროლგაუწევი შიშის ზარის მარწუხებში აღმოჩნდა. სხვათა შორის, მოგვაგონებს ბირნი, ამ შიშით შეიძლება აიხსნას, თუ რატომ არ უთამაშნია ფიშერს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში არც ერთი სერიოზული პარტია, მონაწილეობა არ მიუღია არც ტურნირში და არც კლუბებში მოწყობილ სეანსებში.

შეერთებული შტატების მიერ საჭადრაკო გვირგვინის დაკარგვა სულ უფრო აღელვებს ამერიკის საზოგადოებრიობას. ჭადრაკის მოყვარულნი გმობენ ექს-ჩემპიონის მოქმედებას, რომელმაც მათ შესაძლებლობა მოალო ეგულათ და გულშემატკივრობა გაეწიათ მატჩის დროს.

ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტთან გ. გერასიმოვთან საუბარში ოსტატმა სტივ ბრანდვაინმა თქვა — სწორედ ფიშერმა შეუწყო ხელი ამერიკელთა ინტერესის გაღვიძებას ჭადრაკისადმი. ამ მხრივ შეერთებული შტატების საჭადრაკო ფედერაცია ბევრს უმადლის მას და მზად იყო მხარი დაეჭირა ყოველი მისი მოთხოვნისათვის. მაგრამ ასეთ პოზიციაც პრინციპულს ვერ უწოდებ.

საუბარში ჩაერია ოსტატი ჯორჯ კეინი: მთელი სიტუაციის პარადოქსი სწორედ ის, რომ ფიშერმა თავისი ქცევით ზიანი მიაყენა ჭადრაკის პოპულარობას აშშ-ში. მე სამარცხვინოდ მიმაჩნია მისი უარი თამაშზე არსებული წესები სავსებით სამართლიანია.

— პირადად მე ვფიქრობ, რომ რეგლამენტი, რომელსაც ფიშერი მოითხოვდა, მისთვის ცალმხრივ უპირატესობას უზრუნველყოფდა, — დაუმატა ოსტატმა ჯონ ჯეკობსმა. იგი უნდა დათანხმებულიყო ეთამაშა ფიდეს წესებით. სამარცხვინოა იმედგაუცრუო მსოფლიოს ყველა ჭადრაკის მოყვარულს, მოაკლო მათ დიდად საინტერესო ორთაბრძოლით დატკბობის შესაძლებლობა, რომელსაც ისინი აგრერიგად მოუთმენლად მოელოდნენ.



**თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის**

საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტის საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობის დაუსწრებელი განყოფილების II, III, IV და V კურსების სტუდენტთა გამოცდები იწარმოებს ა/წლის 20 მაისიდან.

სტუდენტთა გამოცხადება სავალდებულოა.

## ტელევიზია

### 23 აპრილი

**პირველი პროგრამით**

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია — „თავგადასავალი გაგრძელებით" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — დოკუმენტური ფილმი „მშობლიური მხარის ჰანგები", 12.00 — მხატვრული ფილმი „ხანგრძლივი ძებნა", 16.35 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 17.20 — ქალის საერთაშორისო წელი. კინონარკვევი „მქსოველი", 17.35 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა, 18.05 — განცხადებები, 18.10 — „წერილების კვალდაკვალ", 18.45 — „სპორტული მიმოხილვა", 19.05 — რეკლამა, 19.15 — „მეტი ყურადღება კაკლის კულტურას", 19.35 — „საესტრადო პანორამა", 20.10 — „დეპუტატი და ცხოვრება", 20.30 — დოკუმენტური ფილმი „ვოლოგდის ქორწილები", 20.40 — „სახალხო კონტროლის ეკრანი", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „დიდი სამამულო ომი და ქართული მუსიკა", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია — ერთაქტიანი ბალეტი „შოპენიანა", 22.55 — ფერადი ტელევიზია — ფეხბურთი თასის მფლობელთა თასზე: „ეინდჰოვენი" (ჰოლანდია) — „დინამო" (კიევი) გადმოცემა ჰოლანდიიდან.

**მეორე პროგრამით**

18.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მექანიზმებისა და მანქანების თეორიაში, 19.05 — სკოლების დასახმარებლად — ქართული ენა, 19.35 — სატელევიზიო სპექტაკლი „ტომ სოიერის თავგადასავალი", 20.55 — განცხადებები, 21.00 — ქართული მხატვრული ფილმი „წყალდიდობა".

ნუ ჰკლავთ, ნუ მოიწამლავთ

## რადიო

### 24 აპრილი

**პირველი პროგრამით**

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ს. პროკოფიევი — ნაწყვეტები ბალეტიდან „დნეპრზე", 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ქართული ხალხური მუსიკა, 11.45 — „პარტიული ცხოვრება". საუბარი „იდეური შემოქმედების დიდი ძალა", 12.15 — უკრავს მ. დოიჯაშვილი, 12.25 — „სცენის ოსტატები", 12.35 — ბ. კარამიშევი. ფანტაზია, 12.50 — ა. ბალანჩივაძე. საორკესტრო პიესები, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — ტაჯიკური მუსიკა, 14.00 — ჯ. ვერდის ოპერა „სიცილიის მწუხრი", 17.15 — დ. არაყიშვილი. ნაწყვეტები ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე", 17.35 — მოსწავლეთათვის — საუბარი „მეცხრე მთაც გადავიარე", 18.05 — ანსამბლ „ივერიის" კონცერტი, 18.45 — ოსური სიმღერები, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. საუბარი „განვითარებული სოციალიზმის დემოკრატია", 19.20 — ფ. კრეისლერი. სავიოლინო პიესები, 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — კონცერტი-საუბარი „იმ ბობოქარ დღეთა სიმღერები", 21.00 — „ძილისპირული", 21.10 — „ჩვენი ახალი ჩანაწერები", 21.40 — ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა კონცერტი, 22.00 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

## თეატრები

### 23 აპრილი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბორდა; შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საბრალდებო დასკვნა; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — იეთიმ გურჯი; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ხხვისი შვილების მამა.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

380096 თბილისი-96 ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03 99-03-09. პ/მგ მდივნის — 99-72-80. სამდივნო — 99 66 10 განყოფილებებისა: პარტიული—99 87 61 პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-53-46, საბჭოთა მშენებლობის — 93 18 70 მეცნიერების უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99 73-24 ილუსტრაციის — 93-28-54

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 02674 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14